

ომარ შუდრა



ბილგრავიული

ნარპვევები

2015

მეცნიერების ისტორიის საქართველოს  
საზოგადოება

ო მ ა რ შ უ დ რ ა

## ბიოგრაფიული ნარკვევები

ეძღვნება თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის  
ინსტიტუტის დაარსების 35-ე წლისთავს

თ ბ ი ლ ი ს ი – 2015

**რედაქტორი:** პროფ. რ. ჩიქოვანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**რეცენზენტები:** ალ. კვინიშვილი, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ირ. ავალიანი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი

**კორექტორი:** ნოდარ ზედელაშვილი

**დაკაბადონება:** ნინო ჭულუხაძე

ქლუქტრონული კერსიის (ო. შუდრა, მოვონებები, თბ., 2010წ.) ვადა-მუშავებული გამოცემა

წიგნში გამოყენებულია ფოტოდოკუმენტები ო. შუდრას პირადი არქივიდან, თუმცა მაღალი ენტენციის ფაზიის მნიშვნელურის არქვიდან, აგრეთვე ფოტოკორესპონდენტთა ფოტოგრაფიები. ფოტოების ნაწილი ქვეყნისა პირველად

უაკ (UDC) 821. 3531-94  
8-939

ISBN 978-9941- 0-6504-0  
©შუდრა თ.ს. 2014

## ს ა რ ჩ ე გ ი

ელექტრონული ვერსიის რედაქტორის წინასიტყვაობა .....	3
რედაქტორის წინასიტყვაობა .....	4
შესავალი .....	5
უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი .....	8
დუბნა. მოსკოვის ოლქი (1966-1970წწ.) .....	12
თბილისი. ინსტიტუტის გახსნამდე (1970-1979წწ.) ....	26
ინსტიტუტის დირექციაში (1980-1996წწ.) .....	38
ნებისყოფა (აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი) ...	53
ხასიათი (აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე) .....	68
კურჩატოვის მოადგილე (მ.გ. მეშჩერიაკოვი) .....	73
პროფესორი ვლ. პეპელიძე .....	78
ბოლოსიტყვაობა .....	80

## ელექტრონული გერსიის რედაქტორის წინასიტყვაობა

ზეციურის დედამიწაზე განხორციელების  
მცდელობა ყოველთვის ჯოჯოხეთს იწვევს  
კარლ პაპერი

ავტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში ჯერ პრობლემური ლაბორატორიის, ხოლო შემდეგ  
მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შექმნის და ჩამოყალი-  
ბების უშაალო მოწმე და მონაწილეობა. ის იყო ავტომატიზაციის  
ჯგუფის უფროსი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი, შემდეგ კი –  
წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.

წიგნში კარგადაა გადმოცემული ეპოქის არომატი – თვალსაჩინოდ  
და რეალისტურადაა აღწერილი სამეცნიერო დაწესებულებების  
თანამშრომელთა ყოფა, სამუშაო ატმოსფერო, მათი მენტალიტეტი  
და ისტორიული ფსიქოლოგია.

განსხვავებით სხვა ჟამთაღმწერულთა „საიუბილეო ლაქირებული  
ქრონიკისგან“, შეიქმნა ეპოქის ცოცხალი დოკუმენტი, დაწერილი  
კარგი („ეურნალისტური“) ენით, სადაც ავტორი არც თავის თავს  
არ ინდობს და არც სხვებს.

ჯერ კიდევ არის საშუალება, აღვადგინოთ და შევუნარჩუნოთ  
ისტორიას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ფიზიკოსთა  
სახეები, წმინდა ადამიანური შტრიხები. უფრო მეტიც, ეს ჩვენი  
მოვალეობა და აუცილებლობაა.

ამჟამად, ალბათ საქართველოს რთული სოციალურ-ეკონომიკური  
მდგომარეობის გამო, ჩვენი კულტურის ამ ასპექტს ყურადღება არ  
ექცევა. თუმცა, იმდია, მომავალში მოგონებების საარქივო კულტუ-  
რას საზოგადოება თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფ. ვახტანგ გურული  
თბილისი, 2010 წ.

## რედაქტორის წინასიტყველი

„ბიოგრაფიული ნარკვევების“ გადამუშავებული და დამატებული, ნაბეჭდი გამოცემა (2014წ.) ეხება საქართველოში ფიზიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ორგანიზაციას და მის შემდგომ განვითარებას.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტში იმ წლების ქართული სათვისტომოს ღვაწლს და იქ მოღვაწე, მსოფლიოში აღიარებულ ფიზიკოსთა დახასიათებებს.

განსხვავებით გავრცელებული „მშრალი“ ისტორიული ნაშრომებისა, ავტორი დიდი სითბოთი იხსენებს თვით ამ ისტორიის შემქმნელთა საქმიანობას (მომსახურე პერსონალის ჩათვლით), მათ პიროვნულ ხასიათებს, ჩვენთვის დღემდე უცნობ ცხოვრებისეულ დეტალებს, რის გამოც წიგნი დიდი ინტერესით იკითხება.

რასაკვირველია, ავტორის შეფასებები ზოგჯერ სუბიექტური, კატეგორიულია და მას ყოველთვის ვერ გავიზიარებთ. მაგრამ, უდავოა ერთი: საქართველოში მეცნიერების მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი წიგნის დაწერა მხოლოდ მისასალმებელია. ომარ შუდრას ღვაწლი ამ მხრივ დასაფასებელი და მისაბაძია, რადგან აუცილებელია საქართველოში მეცნიერების (ამჯერად, ფიზიკის) განვითარების რეალური სურათი შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას.

პროფ. რაფიელ ჩიქოვანი

## შ ე ს ა გ ა ლ ი

*Меж датами рождения и кончины*

*(А перед ними наши имена)*

*Стоит тире, черта, стоит знак минус*

*А в этом знаке жизнь заключена*

*Э. Рязанов*

ჩვენს საუკუნეში მკითხველი საკმაოდ ინფორმირებულია და შეუძლია მოვლენების დამოკიდებლად შეფასება. როცა საქმე ისტორიულ მოვლენას ეხება, მკითხველს არა მხოლოდ ავტორის მზა, ჩამოყალიბებული აზრი აინტერესებს, არამედ თვითონაც სურს შეაფასოს წაკითხული (რადგან ისტორია, როგორც ბალზაკი შენიშნა, ყალბდება სწორედ იმ მომენტში, როცა ის იქმნება).



*ფიზიკოსთა ჯგუფი:*

დოც. გ. ჭილაშვილი, პროფ. ა. თავხელიძე, აკად. ნ. ბოგოლიოვოვი,

დოც. ვ. შელესტი, პროფ. ი. ვაშაკიძე, პროფ. ვ. ჭავჭავაძე,

... (?), დოც. ი. ბუდავოვი, დოც. რ. სალუქვაძე. თბ., 1969 წ.

თუ მკითხველს მოეჩვენება, რომ ზოგიერთ ადგილებში მოგონებებს ძალზე პირადული ხასიათი აქვთ, შეუძლია გაიხ-სენოს აღიარებული პროფესიონალების – აკად. ლ. ლანდაუს<sup>1</sup>, მუსიკოს მ. როსტროპოვიჩის<sup>2</sup> შესახებ მათი მეუღლების, აკადემიკოსების: ლ. პონტრიაგინის, გ. შახნაზაროვის, ანრი რუხაძის და სხვათა ყოფითი დეტალებით სავსე გამაოგნებელი მემუარები.

თითქმის ნახევარი საუკუნეა გასული, და აღწერილი ეპოქის ადამიანთა უმეტესობა უკვე იმ, უკეთეს ქვეყანაშია. რასაკვირველია, ისინი, როგორც თვით ავტორი, არ იყვნენ უნაკლო პიროვნებები. ამიტომ, ან სიმართლე უნდა დაწერო, ან არაფერი (ყველაზე უარესი კი ნახევარისიმართლის წერაა).

კიდევ ერთი მიზეზი - ცნობილია რომ, „ეშმაკი დეტალებში იმალება“ და მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი საქმე-ების წარმატება თუ ჩაშლა სწორედ ამ „წვრილმანებზეა“ დამოკიდებული, მაღალი თანამდებობის იქითა, ადამიანურ ფაქ-ტორზე, თავისი პატარა სისუსტეებით. შეიძლება ეს „წვრილმანები“ დიდი ისტორიისათვის არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ ცნობილია ძალიან მცირე წრისათვის (ან იქნებ, საერთოდ, მხოლოდ ჩემთვის...).

მოგონებების წერა ყოველთვის ძნელია (მით უმეტეს, როცა მისი სრული ვერსიის გამოქვეყნებისგან თავს იკავებ). ხელახლა იხსენებ წარსულს..., მოქმედებს ნერვებზე, განწყობაზე. სულ ცდილობ, წვრილმან კინკლაობაზე არ და-

იყვანო დიდი საქმე, რადგან გახსოვს, რომ „დათვს ვინც კლავს, ტყავიც მისია“.

ეს წიგნი პირადი გამოცდილების პრიზმაში ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი პრობლემის განხილვის მცდელობაა. წარსულის ინტერპრეტაციისას ავტორს უხდება, თავის თავზე, თავის დამოკიდებულებაზე ბევრი საუბარი, მაგრამ ასეთია თვით ჟანრის ბუნება. მე მაინც ვცდილობდი, ყველგან ფიქსირებული ვყოფილიყავი, როგორც „გვერდითი“, „სამსახურებრივი“ ფიგურა.

ისტორიაში უსამართლობის დატოვება არ შეიძლება. რაც არ გამოგივიდა, ისიც არ უნდა დამალო, რადგან ახალი თაობა მხოლოდ შეცდომებზე სწავლობს.

მაშ ასე, წარმოშობით (მამის გვარით), მე დასავლეთ უკრაინიდან ვარ; ენით, კულტურით, მსოფლშეგრძნებით – ქართველი; აღზრდით – იმერელი; განათლებით – რადიოფიზიკოსი და კიბერნეტიკოსი; მოწოდებით – პედაგოგი და ორგანიზატორი; გონიერის წყობით – მეცნიერი; გატაცებით კი – ტურისტი, უურნალისტი და ოფის-მენეჯერი. ასეთია ჩემი ავტოპორტრეტი.



## უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე

*Надо любить людей,  
но не говорить им об этом  
Сент-экзюпери*

1959 წელს სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე გამოცდები ჩავაბარე.

რადიოფიზიკის ჯგუფში ვსწავლობდი. რამდენიმე კარგი ლექტორი გვყავდა: პროფ. გივი ხუციშვილი, ღოცენტები ალექო იშხნელი, გურამ ჭილაშვილი, ივანე ვაშაკიძე, უფრო-სი მასწავლებელი არგადი ქერჩიშვილი. 1961 წ. ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ვესწრებოდი ნილს ბორის, ნ. მუსხელი-შვილის, ი. ბერიტაშვილის საჯარო ლექციებს. სამწუხაროდ, არ მომისმენია ისეთი ცნობილი პედაგოგების ლექციები, როგორებიც იყვნენ პროფესორები: ვაგან მამასახლისოვი და მათე მირიანაშვილი. ვერაფერი გავუგე დოც. გოგი ალექსან-დრიას (ცნობილი მოჭადრაკის მამა). მისი „სამიანი“ მათემა-ტიკურ ფიზიკაში ისე განვიცადე, რომ ფიზიკაზე წელი ჩავიქნიე და გეოფიზიკის სპეციალობაზე გადავედი, შემდეგ კი კიბერნეტიკაში გამიტაცა და დავამთავრე ფიზიკის ფაკულტეტი კიბერნეტიკის განხრით.

ჩვენი (კიბერნეტიკის) კათედრის გამგე დოცენტი გივი ქანთარია იყო – სიმპათიური, ენერგიული, სუფთად ჩაცმუ-ლი, უცოლო. კარგად ვსწავლობდი და რამდენიმე ამსანაგთან ერთად სადიპლომო შრომაზე კიევში გამიშვა. სამუშაოზე განაწილებისას კი კიბერნეტიკის კვლევითმა ინსტიტუტმა (დირექტორი ვ. ჭავჭავაძე), კათედრაზე წარმოადგინა 30–


კაციანი, „აღმოსავლური წესით“, ნაცნობობით შედგენილი მოთხოვნა, რომელშიც მე, ფრიადოსანი, არ შევდოოდ.



თანაკურსელები

1964წ. ნოემბერში კიევიდან, სადაც კიბერნეტიკის ინსტიტუტში (დირექტორი აკად. ვ. გლუშკოვი) სადიპლომო შრომას ვაკეთებდი, ამხანაგებზე ადრე ჩამოვედი. უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში, როგორც შეთანხმებული ვიყავით, უსელფასოდ დავიწყე მუშაობა. დიპლომის დაცვა დეკემბერში შედგა. იანვარში კი პირველი ხელფასიც ავიღე.

იმ წლებში ფაკულტეტის დეკანი დოც. გურამ ჭილაშვილი იყო. ჩემთან ერთად ოთახში მუშაობდნენ: იური თევზაძე, თამაზ საჩალელი (ჩემი თანაკურსელები), ციალა იოსელიანი და ნოდარ ახობაძე.



ლაბორატორიაში აწყობილი  
პირველი „ნაწევრადავტომატი“, 1965წ.

ნოდარ ამაღლობელი, მაშინ მეცნიერებათა კანდიდატი, 33 წლის იყო, დაოჯახებული, მეორე შვილი ჯერ არ ჰყავდა. რადგან შტატები არ გვყოფნიდა, ნაბეჭდი პლატების მონტაჟზე სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს ვიწვევდით. მათ შორის იყო შოთა ვაშაკიძე, შემდგომში პროფესორი, რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს ამერიკაში, 2005-2006 წლებში კი ი.ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატიც იყო.

მეზობელ ოთახში კი ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. კანდიდატის, რეზო სალუქვაძის ჯგუფი მუშაობდა: ინჟინერ-კონსტრუქტორები ჯემალ ბაკაშვილი, ვადიმ შვარცმანი, გაიოზ ერაძე, ფიზიკოსი ტარასი ყორბესაშვილი და ყოფილი პედაგოგი ფრიდონ თათრიშვილი. გაიოზ ერაძემ, რომელიც ნიჭით უდავოდ კველაზე მაღლა იდგა, რამოდენიმე წლის შემდეგ ვერ მოითმინა „ამაღლობელ-სალუქვაძის დიქტატი“ (მისი სიტყვებია), აჯანყდა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადავიდა. გახდა ცნობილი გამომგონებელი, პროფესორი. მისი გვარი ხშირადაა პრესაში.

სარდაფის სართულის ნახევრადბნელ ოთახში ვმუშაობდით. ყველანი ახალგაზრდები ვიყავით და უკეთეს ცხოვრებაზე ვოცნებობდით. მე ძალიან მინდოდა სწავლის გაგრძელება ასპირანტურაში – რუსეთში, მშობლებისგან შორს კვალიფიკაციის ამაღლება. ეს ახალგაზრდობის საერთო ეგოზმია, დამახასიათებელი ყველა ეროვნებისთვის და ერთდღოულად, ისტორიის მამოძრავებელი ძალაა.



## დუბნა, მოსკოვის ოლქი (1966-1970წწ.)

*Люди нелепы. Они никогда не пользуются  
свободой, которая у них есть и требуют той,  
которой у них нет  
Нильс Бор*

1965წ. შემოდგომაზე ნ. ამაღლობელმა შემომთავაზა სერ-  
პუხოვის ამაჩქარებელზე (დაბა პროტვინო) იური პროკოშკინ-  
თან და იური პოპოვთან სტაჟირება (ასპირანტურა). ი. პროკო-  
შკინი თბილისელი იყო და შემდეგ აკადემიკოსი გახდა,  
ი. პოპოვმა კი მაღლ ლენინური პრემია მიღო.

პროტვინო ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო,  
ამიტომ მე გამიხარდა, როცა საბოლოოდ, ხანგრძლივი  
მივლინება დუბნის საერთაშორისო ცენტრში შემომთავაზეს.

ქ. დუბნაში თბილისიდან ზაფხულში ჩავედი. გამანაწი-  
ლეს ყველაზე პრესტიულ საერთო საცხოვრებელში, ორ-  
სართულიან სახლში – უოლიო-კიურის ქუჩაზე. დერეფნის  
ბოლოს, ე.წ. „ქართველების ოთახში“, ადგილი არ იყო და  
როგორც „აზიატს“, კუთხე უზბეკების ოთხკაციან ოთახში  
გამომიყვეს.



თეორიული ფიზიკის დაბორაჭორია. 1965წ.

კარგი ბიჭები იყვნენ, მათ შორის ტოლიბი (შემდგომში პროფესორი, უზბეკეთის ცკ პირველი მდიღნის, შ. რაშიდოვის სიძე) და მაქსუდი (სამარყანდის უნივერსიტეტის მომავალი პრორექტორი). მეზობელ ოთახებში მცხოვრები ამხანაგებიც დღეს ცნობილი მეცნიერები არიან: ბაქოელი აკადემიკოსი – რუფატ მირ-კასიმოვი, პროფ.: ვ. გარსევანიშვილი, ჯ. ხუბუა, ლ. ლლონტი და სხვ.

ნაქირავებში ან სხვა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ მომავალი პროფესორები: ა. კვინიხიძე, ფ. ტყებუჩავა, ლ. სლეპჩენკო, მ. ელიაშვილი, შ. ვაშაკიძე, ი. თევზაძე, მ. მესტვირიშვილი, თ. გრიგალაშვილი, შ. შოშიაშვილი, გ. რჩეულიშვილი, მ. ჯლარკავა, ვ. ალიზადე.



**მარცხნიდან:** ა. კვინიხიძე, მ. ელიაშვილი, ზ. კერუსელიძე,  
ლ. ლლონტი, ... (?)... ლ. სლეპჩენკო, ფ. ტყებუჩავა, თ. შედია,  
გ. ჯლარკავა, ნ. კუციძი, მ. ჩავლევიშვილი.  
სასტუმრო „დუბა“-სთან 1969წ.

ჩემი ხელმძღვანელი იური კარუავინი (სიმპათიური გარე-გნობის ახალგაზრდა მეცნ. კანდიდატი, ავტომატიზაციის განყოფილების გამგე), რამდენიმე თვით გახლდათ მივლი-ნებით ჟენევაში. კვირა დღე იყო. ლაბორატორიაში კაბელით ინფორმაციის გადაცემის ახალ პროექტს ვამზადებდი. შენო-ბაში მარტო მე ვიყავი. ამ დროს შემოვიდა ო. კარუავინი. დაინტერესდა პროექტით, გაიტანა თავის ოთახში და ათიოდე წუთში მასთან სამუშაოდ გადასვლა შემომთავაზა. ცხადია, რომ გადავსულიყავი, მეტი ხელფასი მექნებოდა, მაგრამ უნი-ვერსიტეტის ლალატი გამოდიოდა, ამიტომ უარი ვუთხარი ... შემდეგ კი, უფროსი ინჟინრის ნახევარგანაკვეთზე შევთანხმ-დით. ასე ვიღებდი ხელფასს ასპირანტურის სტიპენდიასთან ერთად 1970 წლამდე.



ო. კარუავინი (ლვას) ექსკურსიაზე

უზბეკებიდან მალე ოთხადგილიან ოთახში გადავედი, საღაც სულ ორნი ვიყავით. შემდეგ კი მომიხდა ბინის დაქორავება, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა დუბნაში. ი. კარუავინმა, ჩემი თანდასწრებით სთხოვა საერთო საცხოვრებელზე ლაბორატორიაში მოსულ თვით ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს. მის პასუხზე: Нет места, я даже физикам ГДР отказал, ი. კარუავინმა იუმორით უბასუხა: Он тоже из ГДР -Грузинская Демократическая Республика.

ყველას გაეცინა, მაშინ გავრცელებული ანკდოტი გაგვა- ხსენდა: Поезд отправляется из Тбилиси в Советский союз.



**დუბნა 1967 წელს, „ბერიას“ 3-სართულიანი სახლები**

ნაქირავებ ბინაში შხაპი არ იყო. ხშირად მიწევდა საერთო საცხოვრებელში შეპარვა, შემდეგ ი. თევზაძესთან მოსვენება და გარეთ საღამოს 10სთ-ზე მინუს 20-30 გრადუსიან

ყინვაში ავტობუსის ლოდინი. ალბათ, ახალგაზრდობის გამო, თორებ ახლაც მიკვირს, როგორ არ გავცივდი ასეთ პირობებში. უბრალო გრიათ ჩაწოლაც კი პრობლემა გახლდათ – თორებ ვინ იყო ან სადილის გამკეთებელი ან წამლის მომტანი? გამოსავალი... თბილისიდან ხელოსნებისთვის გამოტანებული, საწოლის ქვეშ მუდამ მტვრიანი, რამდენიმე არყის თუ სპირტის ბოთლი ეწყო (რადგან, სასმელს საერთოდ არ ვსვამ დღემდე). სიცხიანი, ძლივს ვახერხებდი ბოთლის გამოღებას, საცობის მოხსნას... ეს იყო ჩემი სადილიც, ვახშამიც და წამალიც. მეორე დღეს კი თავს უკეთ ვგრძნობდი და ასე დავდიოდი სამსახურში.

წამყვანი მეცნიერები, აკადემიკოსები კი ორსართულიან კოტეჯებში ცხოვრობდნენ, სადაც, რატომღაც, ეზოში ბალახი ყოველთვის მოუთიბავი იყო. ავტომანქანა „ვოლგის“ გარდა ეზოში პატარა კატარდა – გლისერიც ჩანდა. თუმცა ეს არავის უკვირდა და სამსახურში მაინც ველოსიპედით დადიოდნენ. კოტეჯები უბრალოდ იყო მოწყობილი და დერეფნებში „ბუნებრივი ცხოვრების სტილი“ იგრძნობოდა: რეზინის ჩექმები, თევზსაჭერი ბადეები, ჩოგნები, წყლის თხილამურები და ა.შ... პარკეტი, ე.წ. „ხრუსტალი“ და „ევრო-რემონტი“ მეიქ არ მინახავს. მთელ ქვეყანაში აღიარებული „ბირთვული ფიზიკის“ სახელმძღვანელოების ავტორებს, მოსკოვის უნივერსიტეტის ლექტორებს, ავტორიტეტის გარეგნული ატრიბუტიებს უბრალოდ, არ სჭირდებოდათ.



## მუცნიერთა კოტვეჯები

თბილისის შემდეგ ძალიან გამიჭირდა პატარა ქალაქის ფსიქოლოგიის შეგუება, სამსახურის დერეფანში მთელი დღე რომ ხედავ ადამიანს, იგივეს ხედავ სასადილოში. საღამოს, როცა დღის შთაბეჭდილებებს გინდა გამოეთიშო, იგივე თანა-მშრომელია კინოში, სკვერში.

დუბნაში, იმ წლებში 15 ათასი მოსახლე იყო (2008 წ. 30 ათასი გახდა. მეორე, საქართველო ნაპირის ჩათვლით კი – 60 ათასი)<sup>3</sup>.

უფრო პატარა ქალაქია ფიზიკოსთა მეორე ცენტრი სერპუხოვის ახლოს – პროტვინო, რომელზეც ასეთი ანექონტი მიამდეს: დუბნაში, შენობიდან გამოხვალ თუ არა, შენზე ჭორი მაშინვე ვრცელდება, პროტვინოში კი – შენობიდან გამოსვლამდეო...

დუბნაში განსაკუთრებული მომარაგება იყო, ცხოვრება კი ძალიან იაფი, ჩემი ორმაგი ხელფასი სად წამელო, არ ვიცოდი (ნაქირავები ბინა 25 მანეთი ღირდა).

ახლა ძნელი წარმოსადგენია მაგრამ, როდესაც 1956წ. ქალაქის სახელზე კამათობდნენ, მეცნიერთა წინადადება

„ლეპილოვი“ ან „მეშჩერიაკოვი“ იყო, თუმცა მოსკოვმა მდინარის სახელი – დუბნა დაამტკიცა (წინა წლებში კი დასახლებას დუბნო ერქვა). ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, რადგან 2000წ., როცა დუბნის მშენებლის, ლეპილოვის ძეგლის დადგმა უნდოდათ, წამყვანი მეცნიერები წინაღმდეგი იყვნენ, რადგან ის, ფაქტობრივად, დამონებულ პატიმართა ბანაკის უფროსი გახლდათ<sup>4</sup>. ლეპილოვი ავტოავარიაში გარდაიცალა.

იმ წლებში გარდაიცალა მსოფლიოში თავის დროზე უდიდისი სინქროფაზოტრონის შექმნელი, აკად. ვ. ვექსლერი. დავესწარი მეცნიერებათა აკადემიდან მის გამოსვენებას. კუბო გამოიტანეს: აკადემის პრეზიდენტმა მ. კელდიშმა<sup>5</sup>, აკად. მილიონშიკოვმა და სხვებმა.



აკად. ვ. ვექსლერი (მარჯვენადან მესამე)

მ. კელდიშის დედა – სკვორცოვა თბილისელი იყო. მამით კი ბოშურ-პოლონური წარმოშობა ჰქონდა (ამიტომაც იყო შავთვალწარბა). მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა მთვარეზე

კოსმონავტები გაუშვეს და საბჭოური კოსმოსური პროგრამა სამარცხვინოდ ჩამორჩა, მ. კელდიშმა ჯერ განცხადება დაწერა წასვლაზე, შემდეგ კი დეპრესია დაეწყო და თავისი აგარაკის გარაჟში, მანქანის გამონაბოლქვით, თავი მოიკლა. მილიონშემ-კოვმა კი (რომელიც მუდამ სახეაწითლებული იყო ხოლმე), იმდენი გააკეთა, რომ ავტოავარიაში მოხვედრილ აკადემიკოს ლ. ლანდაუს საავადმყოფოდან შინ გადაყვანა შუა ზამთარში მოითხოვა. ლანდაუს ეზოში სეირნობისას ფეხის თითის მოყინვისგან ჯანმრთელობა შეერყა და მალე გარდაიცვალა.

ვ. ვექსლერი 14 წლის ასაკში გაექცა დედას და კომუნაში ცხოვრობდა (ვექსლერი მამინაცვლის გვარია). მუცულლე მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ჰყავდა. გასაიდუმლოების გამო, მისი აღმოჩენა ვერ წარადგინეს ნობელის პრემიაზე. 56 წლის ასაკში, მეორე ცოლთან შვილი შეეძინა. თვითონ კი 3 წელიწადში გარდაიცვალა. დაკრძალვისას, ახალგაზრდა, 25 წლის შავკაბიან გოგონას დანახვაზე საზოგადოება სამწუხაოდ, ოხუნჯობდა: „60 წელს მიტანებული ქმარი უყვარს, თუ მისი დატოვებული ქონებაო?!”

ისევე, როგორც ევროპაში, ღუბნაშიც სამსახურში ველო-სიპედით სიარული მოდაში იყო. ერთხელ, საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ ტრიბუნაზე ავედი, ჩვენი დირექტორის მოადგილის, ნ. გოგორუნის<sup>6</sup> სანახავად. მას შარვლის ტოტზე... სარეცხის ხის საჭერი ეკიდა – ველოსიპედის გაპოხილი ჯაჭვისგან დასაცავად...

იმ წლებში, ქალაქში ქურდობას ადგილი არ ჰქონდა. ერთხელ, სასტუმროს წინ ველოსიპედი მოელი დამით დამრჩა. დილით, ბინიდან რომ გავედი, მერე გამახსენდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ადგილზე დამზღვდებოდა.

სუფთა, პატარა, მწვანე ქალაქს, კეთილმოწყობილი საერთაშორისო კლასის სასტუმროთი, ხშირად იყენებდნენ სპორტ-სმენების დასასვენებლად. სწორედ აქ გავიცანი იმ დროისთვის ცნობილი მოჭადრაკე ალა კუშნირი (ნონა გაფრინდაშვილის მოსკოველი მეტოქე), მოსკოველი ჟურნალისტი კლარა აბრამია და სხვ.

დუბნაში შევიძინე მეგობრები და ამხანაგები. ყველა მენდობოდა. ჩემთან მივლინებით ჩამოდიოდნენ მოსკოვიდან (მახსოვს ФИАН, სა-ავიაციო მოტორების ცენტრალური ინსტიტუტი ЦНИИАМ, მოსკოვის უნივერსიტეტი), ტომსკის უნივერსიტეტიდან, ალმა-ათის ფიზიკის ინსტიტუტიდან, უკროვსკიდან (ЦАГИ), თბილისიდან („ვეკუას“, ფიზიკის ინსტიტუტი) და სხვ. იმდენად გავთამადი, რომ როცა ნობელის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს პავლე ჩერენკოვს, თანამშრომლების მივლინებით გამოგზავნა უნდოდა, მე (ახალგაზრდული ფამილარობით), ცოტა მშრალი დეპეშა გავუგზავნე, რომელიც (როგორც ჩვენი დირექტორის მდივანმა მითხრა), მას არ მოეწონა. კარგ სამუშაო ფორმაში ვიყავი, ამიტომ ჩემი გადაბირება ი. კარუვავინის გარდა სხვებმაც მოინდომეს.


თბილისიდან ჩამოვიდა ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ცნობილი მეცნიერი, ნინო როინიშვილი, რომელმაც საუბარი ჩამომიგდო სამსახურის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ბოლოს, თვალებში შემომზედა და მითხრა – „თუმცა, ისიც ვიცი, რომ ამაღლობელის ერთგული ხართ და არაფერი გამოვა“...



**დუბნა, ვოლგის პირას**

ჩვენი გაცნობის ისტორია კი ასეთი იყო: მე ყირიმში, ალუშტის კონფერენციაზე ვიყავი. ჩვენს ავტობუსს გაგევდი აეროპორტში, კონფერენციის მონაწილეების დასახველრად. გზაში გავიცანი სიმპათიური, ახალგაზრდა თბილისელი ქალი, რომელმაც მითხრა, რომ კომპაიუტერის დაპროგრამებაზე მუშაობს. რამდენიმე დღე პლაზე მის უკეთ გაცნობას ვცდილობდი, ვიდრე ჩვენმა თანამშრომელმა, ბიჭიკო ცინცაძემ არ მითხრა, რომ ეს ქალი ცნობილი მეცნიერი ნინო როინიშვილია, გათხოვილია და ქმარიც ფიზიკის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილეაო...

თბილისიდან სისტემატურად მიგზავნიდნენ ზოლმე მათთვის დეფიციტურ რადიოდეტალების სიას. ჩვენი ლაბორატორიის დავალებების გარდა, მომარაგებას (ნ. ამაღლობელთან შეთანხმებით), სხვა ლაბორატორიებიც მთხოვდნენ. ასეთი იყო, მაგ., მურიკო ჩიხლაძის ლაბორატორია.



საქმიანი მიმოწერა ნ. ამაღლობელთან

ერთ წვიმიან დღეს, დუბნის საცდელ წარმოებაში, ჩვენი შეკვეთის მომარაგებისთვის თბილისიდან გამოგზავნეს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ინჟინერი – ჯუმბერ ლეუჯავა. მავთულის მძიმე შეკვრა ეჭირა. საამქრომდე მივაცილე და იმ დღიდან დაგმეგობრდით. ჯუმბერი მეცნიერების და ტექნოლოგიების სამინისტროშიც მუშაობდა. მეუღლის გარდაცვალება ძალზედ განიცადა, ერთ-ერთ ოთახში მისი მუზეუმიც მოაწყო. მალე სტრესისგან თავის დასაღწევად სპორტზე გადაერთო, გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა და ცნობილი ველომოგზაური გახდა.

გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის, მ. მეშჩერიაკოვის მოადგილე გიორგი ზაბიაკინი იყო. ჩემს ხელმძღვანელს, კარუვანის მასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა (მიაჩნდა, რომ უწევაში ყოფნისას მისი თანამდებობა დაიკავა).

გ. ზაბიაკინმა, კარიერის ზენიტს რომ მიაღწია (მეცნიერებათა დოქტორი, კარგი მანქანა, კარგი ოჯახი, მოსკოვში სხვადასხვა საკავშირო კომიტეტის წევრი), თავისი მდივანი საყვარლად გაიხადა, საქმეები აერია, მოუწია მოსკოვში გადასვლა და ისე გალოთდა, რომ გელენჯიკში, ავტომატიზაციის ტრადიციულ საკავშირო კონფერენციაზე, დავინახე, თუ როგორ შემოვიდა მთვრალი აუდიტორიაში და სიტყვა გააწყვეტინა მომხსენებელს. ბოლოს ის მოსკოვში კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში (ИКИ) მივლინებისას ვნახე. ინსტიტუტის დირექტორი ცნობილი აკად. რ. საგდეევი იყო (2000-იან წლებში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად).

გ. ზაბიაკინი ერთ პატარა, მტვრიან, აპარატურით გაწყობილ ოთახში იჯდა. მოტეხილი ცხოვრებისაგან, ლოთობისაგან, აპათიური. ჩემთვის საშვის დაშვებას აჭიანურებდა – ალბათ, არ უნდოდა, რომ ამ მდგომარეობაში მენახა...

დაახლოებით ერთი წელი, მე, ინჟინერი სლავა სემიონოვი და ალმა-ათელი უენია ლობანოვი ახალი ავტომატიზებული სისტემის შექმნაზე ვმუშაობდით ეგმ БЭСМ-4 ბაზაზე. (სამანქანო დარბაზში, იქვე დაყენეს ამერიკიდან შეძენილი ეგმ CDC-1604). რაციონალური წინადადებების მოწმობებიც კი მიკიღეთ. არავინ ერეოდა ჩვენს საქმეში (არაგემოური სამუშაო იყო). მოახლოებულ ადგილობრივ კონფერენციაზე (6. გოვორუნი ხელმძღვანელობდა) გადავწყვიტეთ ჩვენი ნაშრომის გატანა. ეს ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი იყო და ბუნებრივია, ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ ... კონფერენციაზე გამოსვლას ესწრებოდა ჩვენი კოლეგა, ინჟინერი ვ. ერმოლაევი, რომელსაც თურმე, ეს მასალა თავისი დისერტაციისთვის უნდოდა, მაგრამ, ჩვენთან ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებდა (თუმცა, წვრილმან ინტრიგებს კი მიწყობდა). ისარგებლა ჩემი გამოუცდელობით (განყოფილების გამგე ი. კარუავინი თანავტორად არ შევიყვანე), კონფერენციაზე განხილული მოხსენება ამოიღო შრომების თეზისებიდან და თანამშრომლები ამიმხედრა. რამდენიმე წელიწადში, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ერმოლაევი სამუშაოდ ქარხანაში გადავიდა. მაგრამ, მაშინ მე იმდენად ვიყავი გაოგნებული, რომ თავის დაცვაც კი არ მიცდია: ახალგაზრდა მეცნიერს პირველ შრომაში, პირიქით, ხელი უნდა გაუმართო. ყველაფერი დასრულდა ი. კარუავინის „ბრძნული“ გადაწყვეტილებით: ეჯайთ ვ სვით გრუზით და მას დაუკავშირდეთ...




ჩვენს მიერ შექმნილი  
ელექტრონიკა (ინტერვებისი)  
პრ ბესმ-4-თვის. 1967წ.

6. ამაღლობელმაც ჩათვალია, რომ რუსებთან წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და ჩემი ნამუშევარი ასე მიეწერა სხვის დისერტაციას.

ი. კარგავინს რამდენიმე წელიწადში განყოფილება დაუხურეს და მოუწია მოსკოვში გადასვლა ი. კურჩატოვის სახ. აზომური ენერგიის ინსტიტუტში, შეძლევ სხვა პალეოთ ინსტიტუტში. ის 2003 წელს გარდაიცვალა.

ერთხელ თბილისიდან ლევან მარკოზაშვილი (ჩვენი კომპიუტერის „რაზდან-2“ ინჟინერი) ჩამოვიდა. დუბნელ ვადიმ კოტოვთან ერთად ვორონეჟში 2-3 დღით მატარებლით უნდა წავსულიყავით, საბჭოთა კავშირში პირველი სამაგიდო, პერსონალური კომპიუტერის, „ელექტრონიკა-100“ შესაკვეთად. საკმარისი მასალა მქონდა დისერტაციისთვის და ეს თემატიკა მე არ მესტოდა.

უნივერსიტეტი (რადგან თბილისში არ ვიყავი), მივლინებას ვერ მიფორმებდა. დუბნის კადრების განყოფილებამ კი (რადგან 0,5 განაკვეთზე ვიყავი), თავი შეიკავა. მომიწია მივლინების ხარჯების ჩემი ხელფასიდან გადახდა. საბოლოოდ, 6. ამაღლობელმა ეს ახალი კომპიუტერი მიიღო, აღბათ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა<sup>7</sup> (ცხადია, სამხედრო-ების და კოსმოსური თემაზეიკის შემდეგ).



ინტეგრალურ სქემებზე  
გადასცლა. ნაბეჭდი  
პლატფორმის დაპროექტება  
პირველად საკონსტრუქ-  
ტორო დაფუძნდე  
დაიწყო. თუმცა, 1969წ.

1969 წლის ზაფხულში, დუბნის ახლოს, რკინიგზის სადგურთან (ბოლშაია კოლგა) ნაქირავები ბინის დიასახლის-მა ახალი წლისთვის ბინის დაცლა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ყველაფერი აეწყო, აღარ შემეძლო ისევ ბინის ძებნა (თან რატომდაც მილიცია თბილისიდან ამოწერას მთხოვდა და წლობით თითქმის არალეგალურად გცხოვრობდი). ამიტომ, გადავწყვიტე თბილისში დაბრუნება.

დეკემბრის თვეში, მოსკოვში სეირნობისას დავინახე, რომ კლიმენტ ვოროშილოვის პანაშვიდზე, სასტუმრო „მოსკოვი“-ს ახლოს, რიგში უამრავი ხალხი იდგა. სამხედროები მიყვარს, რიგში მეც ჩავდექი. პალტოს ზედა ჯიბეში იმ დღეს ნაყიდი სათვალე მედო. მოულოდნელად, უკნიდან ხალხის ნაკადი მომაწვა. ჩემს წინ მდგომ ჯარისკაცებს მოუწიათ ცოცხალი ჯაჭვით ხალხის მასის შეჩერება. მე საერთოდ ვერ ვინძრეოდი, ისე ვიყავი ჩახუტებული ჯარისკაცებთან და გადავწყვიტე ჰყლეტისგან თავის დაღწევა:

- Очки, очки сломаются – звукоровдю მე.

- Какие очки, они же на носу, ё.т.м... მპასუხობს ჯარისკაცი.

ძლივს გავაგებინე, რომ რიგიდან გამოსვლა მინდოდა. გამომათრია და ერთი პანლურიც მომაყოლა...

ასე დამამახსოვრა თავი კ. ვოროშილოვმა, რომელსაც შურდა მარშალ მ. ტუხაჩევსკის, რომელსაც მისი რეპრესიების მიზეზად თვლიან.

## თბილისი. ინსტიტუტის გახსნამდე (1970-1979წწ.)

*Хорошо только полная правда –  
Полуправда ничего не стоит*

*Стефан Цвейг*

*Живя с людьми, не забывай того,  
что узнал в уединении;  
В уединении обдумывай то,  
что узнал из общения с людьми*

*Л. Толстой*

დუბნიდან თბილისში საბოლოოდ 1970 წლის იანვარში, რიგაში დასკენების შემდეგ, დაგბრუნდი. ჩვენს ლაბორატორიაში ჩინებულ გუნებაზე და დიდი იმედებით მივედი.

— მე ბევრი ვითიქრე და გადავწყვიტე, სამუშაოდ ცალკე ოთახი მოგცე. მეორე მაგიდაზე კი ციალა იოსელიანს გადმოვიყვან, — მითხრა ამაღლობელმა.

ეს იყო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარდაფის სართულზე პატარა, მყენდრო, საკმაოდ ბეჭედი ოთახი. მეზობელ ოთახში ეგმ „რაზდან-2“ მუშაობდა. დიდ, საერთო ოთახში ნ. ამაღლობელს თავისი ძველებური, დიდი საწერი მაგიდა, ფაქტობრივად, „სამონტაჟო სამქროში“ ედგა. რეზო სალუქვაძეს განყოფილებას კი დერეფნის გადატიხვრა მოუწია.

უკვე ამ წლებში პქნონდა ნ. ამაღლობელს სქელი საქალალდე მომავალი ინსტიტუტის საშტატო განრივით და სხვა საბუთებით. წარწერა ყდაზე „ინსტიტუტის მასალები“ მაშინდელ რეალობაში ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

მირითად საქმეს, რისთვისაც დუბნიდან ჩამოვედი, ვერ ვიწყებდი... მაღლივ კორპუსში, თსუ გამოყენებითი მათემატი-

კის ინსტიტუტში („ვეკუას ინსტიტუტში“)<sup>8</sup>, ჩვენი ოთახი ჯერ კიდევ გასარემონტებელი იყო. ლოდინში 2 წელი შეუმჩნევლად გავიდა.

ერთხელ, 6. ამაღლობელმა სარჩილავით კოსტიუმი დაიწვა. დილიდანვე წავიდა საყიდლად, იაფი ვერ იშოვა და ხელცარიელი დაბრუნდა, გულჯავრიანი, ციალასთან შემოვიდა (ასე იცოდა ხოლმე) და ბოლოს, მეჩხუბა. ასეთი გაუგებარი, ემოციაზე აგებული „გარჩევები“ სულ უფრო გახშირდა და რუსეთში, მშვიდ გარემოში მუშაობას შეჩვეულს, ძალიან მთრგუნავდა. 1971 წელს გაზაფხულზე ჩვენი ურთიერთობა დაიძაბა. რასაკვირველია, ამაში ჩემი წვლილიც იყო – გამიჭირდა „თბილისურ“ სამუშაო სტილზე გადასვლა („იმან თქვა, ამან თქვა“) – წერილმანი კონტროლით.

1972წ. ივნისი იყო. მე და ახალგაზრდა ინჟინერი მიშა ცხვარაძე მშენებლებს ახალი ლაბორატორიის პარკეტის დაგებაში ვეხმარებოდთ. გუდრონიც კი ჩვენ მოვხარშეთ კოცონზე. ოთახის გამყოფ მინის ტიხარს პულვერიზატორით ვღებავდი. საღამოს 9სთ-ზე 6. ამაღლობელი და რ. სალუ-ქვაძე მათი ამხანაგის დაბადების დღიდან მოვიდნენ. საჭესთან რეზოს მეგობარი ჯ. ცაავა იჯდა. შექეიფიანებულები იყვნენ. გამომართვეს პულვერიზატორი და, ასე ვთქვათ, „დამეხმარენ“ შეღებვაში. შემდეგ, მიუხედავად ჩემი უარისა (ყველა იქვე ცხოვრობდა), მანქანაში ჩამსვეს და შინ წამიყვანეს.

1972 წლის აგვისტოში ჩვენი პრობლემური ლაბორატორია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსიდან ახალ, ორსართულიან შენობაში გადავიდა (მაღლივი კორპუსიდან 500 მეტრში). თანამშრომლებმა ყველა ოთახი „ჩვენებურად“, სტიქიურად დაიკავეს და მე ჩემი სამუშაო მაგიდის შეტანა... სააქტო

დარბაზში მომიწია. ეს რომ ნ. ამაღლობელმა დაინახა, გამი-  
სნა ა. თავშელიძისთვის განკუთვნილი საუკეთესო, დიდი კა-  
ბინეტი და რადგან ის მოსკოვში იყო, 7 წელი (ნ. ამაღლო-  
ბელის დირექტორად დანიშვნამდე) იქ ვმუშაობდი.

ექსპერიმენტული ინფორმაციის დამუშავების სისტემის  
მონტაჟის წინ დიდი გამომთვლელი მანქანის - „ბესმ-4“-ის  
გადაკეთება იყო საჭირო (მანქანის უფროსები: ზურაბ დიდი-  
შვილი და ჯუნი ქელბაქიანი). ამაზე ნ. ამაღლობელი რეზო  
ბერულავას („ვეგუას“ ინსტიტუტის მოდერნიზაციის განყოფი-  
ლების გამგე) მოელაპარაკა. რადგან ჩემთვის უცხო კოლექტი-  
ვთან მქონდა საქმე, გადავწყვიტე, დიდი სემინარის ჩატარება,  
სადაც ჩვენგან რამდენიმე მოშხსენებელი გამოვიდოდა. ცხადია,  
ნოდარის შესავალ სიტყვას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი.


სემინარისთვის ერთი თვე ვემზადებოდი. მე არ ვიცოდი,  
რომ „ვეგუას“ ინსტიტუტში (როგორც თითქმის ყველგან თბი-  
ლისში), ბევრი ნაცნობობით მოწყობილი ინჟინერი მუშაობდა,  
მათემატიკოსებს კი (ფიზიკოსებისგან განსხვავებით) ინტრი-  
გებისკენ მიდრეკილება<sup>9</sup> ჰქონიათ. ყოველივე ეს ნ. ამაღლო-  
ბელმა ჩემზე უკეთ იცოდა, ამიტომ სემინარის წინა დღეებში  
ჩემთან ძალიან აღელვებული შემოვიდა - „რა აუცილებელი  
იყო ეს სემინარი?“ – იმეორებდა ის. სემინარის წინა საღამოს  
ჩვენი ფაკულტეტის თანამშრომელმა შოთა გელაშვილმა, რო-  
მელმაც ბირთვულ ფიზიკაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა,  
მთელი ლაბორატორია შინ დაგვპატიუა. მე სასმელისგან თავი  
შევიკავე, თუმცა ბევრი მაძალეს და ნ. ამაღლობელის დაცი-  
ნვაც დავიმსახურე: „ციალა შენზე მაგარიაო“ (უყვარდა ხოლმე  
სუფრაზე ასეთი ხუმრობები).

მეორე დღეს სემინარზე ნ. ამაღლობელი ისეთი ნაბახუ-  
სევი იყო, რომ სულ უკანა რიგში დაჯდა და მერხიდან თავი  
არ აუწევია. სიტყვით გამოსვლაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი  
იყო. მე და იზო უსტიაშვილმა ძალიან მშვიდად ჩავატარეთ  
სემინარი. ყველას კარგი შთაბეჭდილება დარჩა ახალ პროექ-  
ტზე, მათ შორის ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს  
შოთა ნიკოლაშვილს, რომელმაც სემინარის მუშაობა შეაჯამა.

როცა დავიშალეთ, ჩვენი ჯგუფი შემომეხვია. ციალა  
იოსელიანი, როგორც ყოველთვის, ემოციურად ყვებოდა:  
„რამდენი აძალეს გუშინ ომარს, რა არ უთხრეს, მანც არ  
დალია“ და ა.შ.

დაიწყო დაძაბული მუშაობა მაღლივი კორპუსის ისევ  
უმზეო, ნახევრადბნელ  
ლაბორატორიაში, დასვენე-  
ბის დღეების გარეშე. ლაბო-  
რატორია განთავსებული  
იყო ორმეტრიანი ვენტი-  
ლატორებისა და ეზოს  
ცენტრში დამონტაჟებული  
მძლავრი კონდენციონერის  
გვერდით. საშინელი გუგუ-  
ნი იდგა (ალბათ, მავნე,  
დაბალი სიხშირის ინფრა-  
ბგერების გამოსხივებით).

შაბათ-კვირას ზოგჯერ  
მოდიოდა ხოლმე ნ. ამაღლო-  
ბელი, იდგა შავ პალტოსა  
და კეპის ქუდში გამოწყო-  
ბილი, თითქმის უთქმელად,



ინფორმაციის დამუშავების სისტემის  
მირთადი კვანძი — ევრ ბეს-4-თან  
კავშირის ამარატურა

ასე ვთქვათ, „აკონტროლებდა სიტუაციას“. უფრო იშვიათად, ემოციურად ჩაერეოდა ხოლმე აპარატურის გამოცდაში (ფაქტობრივად კი ხელს მიშლიდა). დღის ბოლოს კი შინ მივყავდი მანქანით.

ოქტომბერში დუბნიდან სისტემის პროგრამის ავტორი ზინა ივანჩენკო და წამყვანი ინჟინერი ვადიმ კოტოვი ჩამოვიდნენ. ჩემი სისტემა საბოლოოდ არ იყო გამართული. მათი მოთხოვნით (მიუხედავად ჩემი უარისა) ამაღლობელმა მკაცრად მომთხოვა სისტემის ჩართვა. მე და პროგრამისტი იზო უსტიაშვილი დავემორჩილეთ ბრძანებას (დისტანციური ხმამაღალი კავშირით ვმუშაობდით) და... როგორც მოსალოდნელი იყო, შევრცხვით კოლეგების წინაშე. ლაბორატორიაში ისევ ერთგვირიანი სკანდალი ატყდა...

ჩვენი სისტემა 1973 წლის თებერვალში ამუშავდა. ამ მომენტისთვის ისე გადავიდალე, რომ მუშაობა მიჭირდა. ვიჯექი გაბრუებული ბნელ ოთახში, სისტემის დახვეწაზე კი ნ. ამაღლობელი, თ. ფიცხელაური, ი. უსტიაშვილი, ც. ხომასურიძე და მ. აბესალაშვილი მუშაობდნენ. ჩვენი მუშაობა პრესამ და რადიომ გააშუქა. სისტემის ამუშავების შემდეგ, მიუხედავად წარმატებისა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, დიდი მარტოობა ვიგრძენი და გადაღლილი და აპათიური... ერთ თვეში დავქორწინდი.

თებერვალში გადავწყვიტეთ იმ დროისათვის საკმაოდ პრესტიჟულ, ახალგაზრდულ, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიაზე ჩვენი ნამრომი წარგვედგინა. ინსტრუქციის მიხედვით, გამოვყავით 4 ავტორი. აქედან ერთი, „ვეკუას ინსტიტუტის“ ინჟინერი ლ. ჭუმბურიძე, შ. ნიკოლაიშვილმა ამოშალა („როცა ინსტიტუტს უჭირდა, წასვლა უნდოდა ჩვენგანო“).

ასე ჩაიშალა დირექტორის მოადგილის შ. ნიკოლაიშვილისა და სხვათა უპრინციპო პოზიციის გამო ჩემი და თან-აავტორების ლაურეატობის საქმე.

მძიმე წლები იდგა. 1974 წლიდან იწყება ლ. ბრეზნევის აგადმყოფობა და „უძრაობის წლები“. BAK-ში (უმაღლესი საატესტაციო კომისია) რეორგანიზაციის გამო, ჩემი დისერტაცია (ისევე, როგორც ბევრი სხვის) დაიკარგა. ჩავაკითხე მოსკოვში. ძველი, ჭუჭყიანი შენობის ვიწრო დერეფნის ერთ მხარეს მტვრიანი დისერტაციები ადამიანის სიმაღლეზე ეწყო, მეორე მხარეს კი ასაკოვანი, ცუდად ჩაცმული, გაქონილ პიჯაკებში, სმისგან მოღუშული სახეებით უჰაერო დერეფნაში მომავალი დოქტორების და კანდიდატების დაძაბული გრძელი რიგი იდგა. შედიოდნენ ახალგაზრდა ქალთან სათითაოდ და რაღაც გაურკვეველ, დამამცირებელ პასუხს ისმენდნენ.

იმ წლებში დისერტაციები და საერთოდ, მეცნიერება ვაჭრობის ობიექტად იქცა. მოსკოვის პროფესორები ერთ-მანეთს პროვიციიდან ასპირანტის „შოგნას“ თხოვდნენ. მე თვითონ ვარ მოწმე, ცნობილი პროფესორი – ეკონომისტი ვადიმ ფ. ერევანში, თავის სომებს დისერტანტთან, ერთკვირიანი „დროსტარების“ პერიოდში, როგორ იღებდა მის საჩუქრებს პირდაპირ მაღაზიის დახლთან.

მეორე მაგალითი: დუბნაში გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ ძველი ნაცნობი, საშა კარლოვი დანიშნეს. ერთობლივი თემატიკა შევთავაზე. დამე-თანხმა, მაგრამ შენგან არაფერი გვინდა, ოღონდაც გაგრაში ცოლთან ერთად დასვენების საქმე მოგვიგვარეო.

ყველაფერმა ამან გული ამიცრუა. სადოქტოროზე მუშაობა აღარ მოვინდომე და ნ. ამაღლობელს, (რომელმაც სადო-ქტორო 1975წ. დაიცვა), გამოვუცხადე, ახალ დისერტაციას ხელს არ მოვკიდებ-მეთქი.

ამრიგად, 1975წ. თსუ ინფორმაციის დამუშავების ცენტრი უკვე მუშაობდა. ტექნიკური მომსახურება ახალგაზრდა ინჟინერს ჯეინ გეგიას დაევალა, მეთოდური მხარე – ფიზიკოსს მარინა დასაევას. სისტემას იყენებდნენ ჩვენი ფიზიკოსები: ი. თევზაძე, მ. ნიორაძე, მ. ჩარგეიშვილი, ლ. ჩხაიძე და სხვ. სისტემა იშვიათი საიმედოობით მუშაობდა (და ასე მუშაობდა 13 წელი, ვიდრე ეგმ „ბესმ-4“ არ დაშალეს).

1975 წ. „ბესმ-4“-ის დარბაზში ხანძარი გაჩნდა, ძლიერ დაზიანდა მანქანის პულტი და იქვე მიერთებული რამდენიმე მეტრი ჩვენი კაბელი. დილით, სამუშაოზე რომ მივკლი, „ვეკუას ინსტიტუტის“ ერთ-ერთ ოთახში ძალზე შეწუხებული ნ. ამაღლობელი და ლ. ჩხაიძე დამზღვდნენ. „რა ვქათ ახლა ომარ?“ – მკითხეს მე – მათი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი გაურკვეველი ვადით ჭიანურდებოდა.



*ონლაინ სისტემის გამზომი მიკროსკოპები*

პესიმიზმიდან ორივე ისევ მე გამოვიყვანე - „მე გათვალისწინებული მაქვს 5-მეტრანი რეზერვი კაბელებში, ასე რომ მხოლოდ მონტაჟი დაგვჭირდება. ამ საქმეს მიშა ცხვა-

რაძე ერთ კვირაში დაასრულებს“. არ ელოდნენ ასეთ იოლ გამოსავალს.

მართლაც, ქარხნიდან ორ კვირაში ახალი პულტი ჩამოიტანეს და კომპლექსი ძველებურად ამუშავდა.

მალე ამ სისტემის გამოყენებით ნ. ამაღლობელმა, რ. სალუქეაძემ, ი. თევზაძემ, მ. ჩარგეიშვილმა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია მიიღეს.

1976წ. ჩვენი ლაბორატორიის ინიციატივით, თბილისში დაგეგმილი იყო დიდი, 1500 კაციანი საერთაშორისო (ე.წ. როჩესტერის) კონფერენცია მაღალი ენერგიების ფიზიკაში.

უნივერსიტეტის ორივე კორპუსში ჩატარდა რემონტი, დარბაზებში დააყენეს მძლავრი კონდენციონერები. სამეურნეო სამსახურმა რატომდაც გააჭიანურა ფიზიკის დიდი აუდიტორიის კონდენციონერისთვის მიწის სამუშაოების შესრულება. ნ. ამაღლობელმა მთელი ლაბორატორია დარაზმა და თვითონაც ჩვენთან ერთად მუშაობდა სარდაფში. მიწა ვედროებით, „ცოცხალი ჯაჭვით“ გაგვქონდა. ფ. ტყებუჩავაც ჩვენთან იყო და შესვენებისას მოსკოვის ამბებით გვართობდა. ჩვენი მომარაგებელი ალექო ჯანელიძე მერე ხუმრობდა: „ნოდარი დიდი ორმოს ძირში ნიჩბით იდგა და ზევიდან შოთა გიგაური ეუფროსებოდა“ (შ. გიგაური მაშინ უნივერსიტეტის მთავარი ინჟინერი იყო).

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი პირველ კორპუსში მუშაობდა. თსუ-ს ადმინისტრაციის ყველა სამსახური მობილიზებული იყო. პრორექტორ გურამ ჭილაშვილის კაბინეტში უამრავი ხალხი ირეოდა. საღამოს საათებში დერეფნის იატაკზე იმდენი შესაფუთი ქაღალდი ეყარა, რომ ზედ დავდიოდით.

მე ინსტიტუტში ვმუშაობდი ჯ. ბაკაშვილის „გაფორმების ჯგუფთან“ ერთად (წარწერებს ვაკეთებდით). მოულოდნელად, ოთახში შემოვიდა ნ. ამაღლობელი, ჩამომაცილა

ჯგუფს და მანქანით მიმიყვანა საორგანიზაციო კომიტეტში, ლუბნელ პროფ. ი. ბუდაგოვთან.

დამავალეს ოთხი დიდი დარბაზის ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელობა. გამომიყვეს 50 სამკერდე ნიშანი-საშვი და ამდენივე ხელქვეითი. ყველაზე საპასუხისმგებლო მაინც თსუ-ს სააქტო დარბაზი იყო (აქ ხელმძღვანელად ნუკრი გრიგალაშვილი დავნიშნე). კონფერენციის გახსნის წინა დღეს ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატმა სტუმრების მიკროფონებით მომსახურებისთვის ექვსი ულამაზესი გოგონა გამოგზავნა რუსული სექტორიდან... საერთო ძალისხმევით, უდიდესი მოცულობის საორგანიზაციო სამუშაოს წარმატებით გავართვით თავი.

ლაბორატორიაში კი შტატების მიღება ჭიანურდებოდა. 6. ამაღლობელს უნდოდა ჩემი რაიმე „საქმეში ჩართვა“. დიდი ავტომატური სისტემა „სპირალური გამზომი“ (როგორც ყველგან)<sup>10</sup> ჩვენთანაც უმოქმედოდ იდგა. 6. ამაღლობელმა დამავალა, ორ დღეში წარმომედგინა ჩემი მოსაზრებები მისი ამუშავების შესახებ.

დავუკავშირდი ინჟინრებს მ. ცხვარაძეს და ლ. მარკოზაშვილს, ყველაფერი აქტონ-დავწონე, გავითვალისწინე, რომ ბრუნვების სიცოცხლის ბოლო წლებში ყველაფერი „გაიყინა“ და შევთავაზე სისტემის „დაკონსერვება“ (ეს ტექნიკური ტერმინია) უკეთეს დრომდე. აღელვებულმა ნოდარმა მუშტი დაარტყა მაგიდას: „ომარ, შენ დაბერებულხარ... ეს რა შემომთავაზე“. სამწუხაროდ, მაშინ მართალი აღმოვჩნდი. გავიდა რამდენიმე წელი, როგორი, ძვირადღირებული გერმანული ოპტიკა-მექანიკა წვიმამ დააზიანა, თავისი პირვანდელი სახე დაკარგა და საჩუქრადაც არავის სჭირდებოდა. ასე გადაიყარა წყალში ჩვენი სპეციალისტების ლ. მარკოზაშვილის, გ. გაბედავას, მ. ცხვარაძის და განსაკუთრებით ლევან ლლონტის

მრავალწლიანი შრომა. ლაბორატორიის სამეცნიერო პროდუქციას კი ისევ ძველი სისტემა იძლეოდა.



ინსტიტუტის სტუმრები ექსკურსიაზე.  
ვ. კოტოვი (ცენტრში), ნ. ამაღლობელი (უკანა პლანზე)

1977წ. სექტემბერში ამაღლობელმა თ. ფიცხელაურის თემატიკაში ჩამრთო, თუმცა ამის სურვილი არ მქონდა. ჩვენთან ერთად ეგმ „ელექტრონიკა-100“ ექსპლუატაციის თემატიკაზე მუშაობდნენ გურამ გაბედავა, ლალი ახობაძე და მიმოზი კუტალია.

თამაზ ფიცხელაურის საკანდიდატო დისერტაციაში დასახმარებლად, ჩემს გარდა, რადიოფიზიკოსი ოლეგ ნამიჩევილიც ჩართეს, მაგრამ თამაზმა დისერტაცია მაინც ვერ დაწერა, თუმცა პრაქტიკაში ძლიერი იყო და კოსმოსიდან ინტერნეტის სიგნალის მისაღებად კარგი სისტემა ააწყო.

ინსტიტუტის გახსნა ჭიანურდებოდა. სამსახურში იშვიათად დავდიოდით. „ნოდარის ლაპარაკს ინსტიტუტის გახსნა-

ზე უკვე აღარავინ უსმენს“ – ამბობდნენ მცირე ხელფასით შეწუხებული თანამშრომლები. თვით 6. ამაღლობელიც კი ეჭვით უცქერდა მომავალს – აღარ ეწინააღმდეგებოდა გამოცდილი თანამშრომლების წასვლას.

რაღაც ლაბორატორიის შენობაში საქმიანობა სულ ჩაკვდა, მე საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოში გავაძლიერებულია. ძალიან გვეხმარებოდა კომკავშირის ცპ პირველი მდივანი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ჟოული შარტავა.

კომკავშირის ცპ მფარველობის ქვეშ მაშინ კარგი საქმე-ების გაკეთება შეიძლებოდა. მალე საბჭოს თავმჯდომარის, მათემატიკოს პამლეტ მელაძის მოადგილე გავხდი.

ერთხელ, „ვეკუას ინსტიტუტის“ ვესტიბიულში, დირექციის წინ, 6. ამაღლობელთან ერთად ვიდექი და ვსაუბრობდით. ნოდარი ცოტა წნით შევიდა ილია ვეკუას კაბინეტში. მე კი გარეთ ველიდებოდი. როცა გამოვიდა, დაწყებული საუბრის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ შემაწყვეტინა: „ახლა არ გვინდა, ვეკუამ მითხრა, ინსტიტუტის დირექტორი შენ უნდა იყოდა არა თავხელიძეო, რასაც არ მოველოდი...“

დავუბრუნდეთ 1979 წელს. 6. ამაღლობელი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა. ჩემი დაცვის შემდეგ 5 წელი ისე გავიდა, იგივე თანამდებობაზე, იგივე ხელფასზე ვიყავი. ძალიან გამიშვირდა ოჯახის შენახვა (სადგურთან, თამბაქოს ფაბრიკის გვერდით, ერთოთახიან კომუნალურ ბინაში ვცხოვრობდი). ერთხელ ჯ. ბაკაშვილის ოთახში, მომავალი ინსტიტუტის სტრუქტურის ნახაზი დავინახე. ტუშით დახაზულ „დირექტორის“ ოთხკუთხედის გვერდით „სწავლული მდივანი“ ეხატა. ამ სტრუქტურაში მე, სადღაც ქვევით, სულ დიდი, ლაბორატორიის გამგედ გეძებდი ჩემს თავს და ვერც წარმომედგინა თუ ერთ თვეში სწავლული მდივნის (ჩემი წარმომედგენით - საპატიო) თანამდებობას შემომთავა-

ზებდნენ. მაგრამ როცა რეალურად ნ. ამაღლობელმა შემო-  
მთავაზა ეს თანამდებობა: „შენ ჩემი კანდიდატურა ხარ,



ი. ვეჯუა, ნ. ამაღლობელი, რ. სალუქევაძე

თუმცა უნდა შევუთანხმო ა. თავხელიძეს და რ. სალუქევაძესო“,  
მე უარის თქმა მინდოდა (არ მინდოდა ქაღალდებში მუშაობა).  
მაშინ ნ. ამაღლობელმა მკაცრად მითხრა: „თუ ძველი თანამშრო-  
მლები დაიწყებენ სპეცულაციას, გავყრი და ახლებს ავიყვანო“.

## ინსტიტუტის დირექციაში (1980-1996წწ.)

სიწმინდის გზა ცოდვაზე გადის  
სიორუნ კირკველი

|

1979 წ. სექტემბერში მივიღეთ მოსკოვის დადგენილება თბილისში მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის განხილვის შესახებ. მანამდე კი, რამდენიმე თვით ადრე, ჩვენთან მოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის პირველი პირი.

შაბათის, მზიანი დღე იყო, ნ. ამაღლობელს უნდოდა ე. შევარდნაძე ჩემს ოთახში მიეღო, რადგან ყველაზე კარგი ავეჯი იქ იდგა. ვიდექით მეორე სართულის ფანჯარასთან და ველოდით მანქანის გამოჩენას. მაგიდაზე ინსტიტუტის ფოტოალბომი და ჩვენი საცდელი წარმოების პროდუქცია – ნაბეჭდი პლატა დავდეთ. ნ.ამაღლობელი ნერვიულობდა, რამდენჯერმე შემახსენა, რომ მე დროულად გავსულიყავი ოთახიდან...


მალე გამოჩნდა ე. შევარდნაძე, გზაზე ფეხით მოდიოდა, უკან კი შავი „ვოლგა“ მოჰყვებოდა, რომელშიც მხოლოდ მძღოლი იჯდა...

ნ. ამაღლობელი თვლიდა, რომ 200-300-კაციანი ინსტიტუტი არაფერია... ჩვენ ცხრაასკაციანი უნდა გავხდეთ, როგორც ფიზიკის ინსტიტუტიაო... საერთო კრებაზე გვიჩვენეს არქიტექტორების ნამუშევარი სტენდები – ორი მრავალსართულიანი კორპუსი. ნოდარი ხაზს უსვამდა, რომ რადგან წყნეთის გზიდან ინსტიტუტი კარგად ჩანდა (სადაც მთავრობა დადიოდა), ეს ჩინებული რეკლამა იქნებოდა...

ბრეუნევის მმართველობის ბოლო წლებში ცხოვრება გაჩერებული იყო. იმ დროს ინსტიტუტის გახსნა, როგორც ნ. ამაღლობელი იტყოდა ხოლმე, მართლაც „ფლუქტუაციად“

ჩანდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ე. შევარდნაძის და აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძის დამსახურება იყო.

ინსტიტუტისთვის შტატების გამოყოფამდე, 1980 წელს ნოდარმა დუბნიდან ჩემი ხელმძღვანელი, პროფესორი იური კარუავინი მოიწვია — კონსულტაცია სჭირდებოდა საცდელი წარმოების ამოცანების შესახებ.



**ექსპერიმენტული ინფორმაციის დამუშავების სისტემა  
(საგამოფენო მაკეტი)**

დავათვალიერებინეთ ჩვენი ექსპერიმენტები, ჩემი ლაბორატორია („ვეკუას ინსტიტუტის“ შენობაში).

ნოდარის დავალებით ი. კარუავინს წავყევი ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანის ნახატების სანახავად. მან ვერაფერი გაუგო ამ ნახატებს. მართალი გითხრათ, მეც ვერ ავუხსენი, რაშია სურათების გენიალურობა. ისედაც ცუდ ხასიათზე ვიყვი. სულ მახსენდებოდა მისი უფერადლებობა დუბნის წლებში.

საცდელი წარმოების პრობლემებზე მოვიწვიეთ აგრეთვე გერმანელი რუდოლფ პოზე დუბნის დირექციიდან. აეროპორტში

დახვედრის შემდეგ რესტორან „კრწანისში“ (მტკვრის სანაპიროზე) ვიგახშეთ, მეორე დღეს კი რესტორან „საქართველოში“.

პოზე ივლისის თვეში ჩამოვიდა, საშინელ სიცხეში. ოფლი ნაკადებად ჩამომდიოდა ნოდარის გახურებულ „მოსკვიჩში“. ბოტანიკური ბალის გვირაბი ამ სიცხეში სამოთხედ მოგვეჩვნა — იქ კოსმოსური სხივების ლაბორატორია ვაჩვენეთ.

ასე ჩაეყარა საფუძველი 1980 წლის ჩვენი ინსტიტუტის კონტაქტებს გერმანიის სამეცნიერო ცენტრებთან. ინსტიტუტის შტატები 1980 წლის გაზაფხულზე მივიღეთ. სამდივნოსთვის შევარჩიე რამდენიმე გოგონა, ძირითადად, ნუცუბიძის პლატოზე არსებული მემანქანეთა კურსებიდან.



**გ. სტურუა,  
კანცელარიის გამგე  
(1982 წლიდან)**

კადრების ინსპექტორად ვერავინ შევარჩიე. მაშინ ამაღლობელმა მითხრა: „მთავრობის სახლში მთხოვეს მანანა მესხის (ახვლედიანის) დასაქმება“. მეც დავეთანხმე.

— როგორ გგონია, ვინ უნდა იყოს ჩვენი პარტკომი? — მკითხა მან.

— მებონია ჯემალი, — ვუპასუხე მე — კარგად ერკვევა საერთაშორისო და პოლიტიკურ საკითხებში, უყვარს კამათი.

ჩემი რეკომენდაციით აყვანილი თანამშრომლებიდან დღემდე მახსოვს ვ. კეკელიძე, გ. კეჭლიძე, ჯ. გეგია, ზ. მოდებაძე, მ. ხაინდრავა, ვ. მამნიაშვილი, მ. გაბადაძე, მ. ჯლარგავა, მ. ჯანაშვილი, ლ. ლიპარტიანი, ა. ზიროვა, დ. სიხარულიძე, მ. სტურუა, ნ. ყაველაშვილი, ნ. სკოგორევა, ვ. დვალი, მ. დავითაშვილი, გ. ერისთავი, ა. ოდიშვილი, ნ. კეჩხუაშვილი, ნ. მიქაბერიძე, ხ. შანშიაშვილი, ნ. ოგანეზოვა-ახალაძა.

კანცელარიის გამგედ (და შემდეგ ჩემს თანაშემწედ) შევარჩიე მარინა (მანანა) ჯანაშვილი, უნივერსიტეტდამთავრებული, აღმოსავლეთმცოდნე, რომლის საქმიანი თვისებები, მუშაობის კულტურა იძლენად მაღალი იყო, რომ ბოლოს დირექტორის თანაშემწედ დაწინაურეს.

ინსტიტუტის გახსნის პირველ თვეებში, დერეფანში საშინელი ქაოსი იყო. 200-მდე თანამშრომელი მეორე სართულის მოკლე, ნახევრადბნელ დერეფანში მთელი დღე აფორიაქებული იქით-აქეთ დადიოდა. „ინსტიტუტი გაიხსნა და ყველა ჭიკუაზე შეირყაო“ – ამბობდა ჩვენი მომბარაგებული, იუმორით სავსე ალეკო ჯანელიძე. მახსოვს, მე მთელი ჩემი საორგანიზაციო გამოცდილების წყალობით, თავშეკავებითა და სიმშვიდით წესრიგის დამყარებას ვცდილობდი. მართლაც, რამდენიმე თვეში ყველაფერი დალაგდა.

რამდენიმე დაწესებულებაში ვიყავი, საარქივო აღრიცხვაზე ავიყვანე ინსტიტუტი, მივანიჭე საფოსტო მისამართი (ასე ვთქვათ, ჩემს დონეზე, რადგან ორჯონიქიძის რაიონის ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მომაქცია). ასე მიეწერა ჩვენს შენობას „უნივერსიტეტის ქუჩა №9“.

წშირად მიწევდა მთავრობის სახლში შესვლა. ჩვენი სამინისტრო იქ იყო განთავსებული. ისე დავამუშავე შესვლის ტექნიკა (ჩაცმა, იერი, რომელიმე თანამშრომლის უკან გაყოლა), რომ წლობით ჩემთვის საშვი არ მოუთხოვდათ.

გადავწყვიტე, ტრადიციულად მოსაწყენი „ქაღალდების საქმე“ საინტერესოდ გადამექცია და მასში პროფესიონალიზმი შემეტანა, რადგან „საშუალო რგოლზე“, აღმინისტრაციულ აპარატზე, ბევრია დამოკიდებული.

ვთვლიდი, რომ დირექტორის თანაშემწის თანამდებობა ჩემგან ჩრდილში ყოფნას მოითხოვდა, ამიტომ არასდროს გამოვდიოდი თათბირზე, არც ვკამათობდი. მე მწამდა, რომ

უნდა შემექმნა ე.წ. „დამცავი შრე“ ფიზიკაში მომუშავე მეცნიერთათვის, დირექტორისათვის, რათა ყოველ ზედმეტ ქალალდს და ზემდგომ (განსაკუთრებით, მოსკოვის) ჩინოვნიკურ ჩარევას ხელი არ შეეშალა ძირითადი საქმისათვის.



**ინსტიტუტის სამჯნიერო საბჭოზე. მარჯვნიდან:** ო. შუფრა,  
თ. კოპალეიშვილი, ნ. ამაღლობელი, ბ. ჭილაძე, ლ. ლომნიტი,  
ჯ. მებონია, მ. ნიორაძე

ინსტიტუტში დემოკრატიული ატმოსფერო ჩამოყალიბდა და არსებობდა საზოგადოებრივი აზრი. აქ არ იყო გაღმერთებული ფორმალიზმი. ეს ურთიერთობები აისახა აგრეთვე სამეურნეო სამსახურების მუშაობაზე.

1980 წელს, სექტემბერში ინსტიტუტის ადმინისტრაცია უკვე ჩამოყალიბებული იყო. მუშაობაში მენეჯმენტის ბოლო მიღწევები, პროფესიონალიზმი დავნერგე. ნათესავების შტატში აყვანა არც კი მიფიქრია. მე მინდოდა მყოლოდა ძლიერი კოლექტივი, ასე ვთქვათ, „ჩემს ჭკუაზე აღზრდილი“.

ამ პერიოდში ნ. ამაღლობელმა სტუდენტის შერჩევა და-  
მავალა დუბნაში „კომპიუტერული ქსელების“ თემატიკაზე  
სამუშაოდ. იმ წლებში თბილისში ეს სრულიად ახალი საქმე  
იყო. რამდენიმე თვის უშედეგო ძებნის შემდეგ შევარჩიე უნი-  
ვერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის მე-5 კურსელი ზურაბ  
მოლებაძე. დუბნაში მან მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია,  
რომელიც ჩემი დახმარებით წარმატებით დაიცვა გამოთვლითი  
მათემატიკის ინსტიტუტში (დირექტორი – ნ. ვახანია). მალე  
ზურაბი დაოჯახდა, გახდა უნივერსიტეტის საინფორმაციო  
ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი. გ. ზუბუას რექ-  
ტორობის პერიოდში ის რატომღაც შეამცირეს და გადაერთო  
სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაზე (თსუ კიბერნეტიკის  
მიმართულების პროფესორია). ზურაბი ყველას უყვარს მისი  
თავაზიანი, მშვიდი ხასიათის გამო.



**გ. მოლებაძე (მარჯვ.) პროფ. შტროერთან.  
გერმანია, 2007წ.**



ინსტიტუტის ეზოში.  
პროფ. ი. თევზაძე (მარჯვ.)

დუბნაში გავაგზავნე სტუდენტი მ. ხაინდრავაც, რომელიც დისერტაციის დაცვის შემდეგ, თბილისში ტრაგიკულად დაიღუპა.

ინსტიტუტის გახსნის ძირითადი იდეა ის იყო, რომ ჩვენს ახალგაზრდებს დუბნაში მივლინების გარეშე აემაღლებინათ პროფესიული კვალიფიკაცია. მაგრამ გახსნიდან 25 წელიწადში ახალმა მთავრობამ 300-კაციანი კოლექტივი 20-მდე დაიყვანა და ისიც უნივერსიტეტის ფაკულტეტს დაუქვემდებარა...

## II

1981 წლის ოქტომბერში პროფ. ფ. ტყებუჩავა ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ გადმოიყვანეს. ინსტიტუტის ახალი, მეორე კორპუსის მშენებლობის თანხა რეზო სალუქვაძემ (სოხუმში ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორმა) იშოვნა მინისტრ ეფიმ სლავსკის დახმარებით. მშენებლობის სწრაფი ტემპი კი ფ. ტყებუჩავას დამსახურებაა.

ერთხელ, მოსკოვის კომისია იყო ჩვენთან სამეცნიერო თემების რეგისტრაციის საკითხზე. თემის ნომრები ერთგან შეცდომით ყოფილა დაბეჭდილი. ნ. ამაღლობელი უკმაყოფილო იყო ჩემით: „რამდენი კომისია მოვიდა, იმდენი შენიშვნა მოგვცეს...“ დაძაბული სიტუაციიდან ფ. ტყებუჩავამ გამოგვიყვანა: კომისიის წევრი სამივე ქალი ჩასვა თავის „ვოლგაში“, ქალაქი დაათვალიერებინა, ბოლოს ფუნიკულორზე აიყვანა... ქალები შვენიერ ხასიათზე დაბრუნდნენ მოსკოვში...



**ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი  
მარჯ.: მ. მიქაილ, თ. ჯობავა, ...?..., ნ. ბოკელავაძე,  
ლ. ლიქარტიანი, მ. ჯანაშვილი, ლ. აბესალაშვილი, ნ. კარსანიძე**


1984 წ. ინსტიტუტის ბაზაზე სამი კონფერენცია ჩატარდა. ასე ვთქვათ, „ჩემი“, „ამაღლობელის“ და „კოპალეიშვილის“ მე, ორგორც სწავლული მდივანი, ორგანიზაციულად სამი-ვეში უნდა ჩავრთულიყავი.

ფიზიკური ექსპერიმენტის ავტომატიზაციის საკავშირო კონფერენციის ორგანიზაცია დაავალეს მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ინჟინერ რამაზ საკანდელიძეს. საორგანიზაციო კომიტეტში გვეხმარებოდნენ ფიზიკის ინსტიტუტიდან მეცნ. კანდიდატი სარა შრაბშტეინი (მერე ისრაელში წავიდა) და მეცნ. კანდიდატი დევი ლარი-ბაშვილი (მისი შვილი ირაკლი, შემდგომ აკადემიის ბიბლიო-თეკის დირექტორი გახდა). დღემდე მახსოვს ულამაზო სცენა: კონფერენციის გახსნამდე რამდენიმე წუთით ადრე ამდენი სამსახურების კოორდინაციით და ყველაფერზე პასუხისმგებ-ლობით დაძაბული, მართვის სისტემების ინსტიტუტის კიბე-ებთან ვიდეექი. ამოდიან ნ. ამაღლობელი და რ. სალუქვაძე. ეტყობა რ. სალუქვაძემ, ორგორც უფრო ამბიციურმა, ნ. ამაღლობელს პკითხა, თუ რატომ არაა მისი გვარი ნახსენები პროგრამაში (სექციის ხელმძღვანელის რანგში). ნოდარმა კი შენიშვნა საკმაოდ უხეშად მომცა. რა უნდა მეპასუხა – დაბეჭდვის წინ პროგრამის ტექსტი ხომ მას შევუთანხმე. პასუხისაგან შევიკავე თავი, რადგან ჩემს უკან შემსრულებელთა მთელი არმია იდგა... და გავაგრძელე ჩემი მოვალეობები...

1986 წლის დადგომა ჩემი ინიციატივით გრანტიობული ზეიმით აღვნიშნეთ. ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სცენაზე მოცეკვავები მოვიწვიე (დები მიქელაძეები), იყო მიკროფონიანი წამყვანი – დარეჯან სიხარულიძე სამდივნოდან, იდგა დიდი ნაძვის ხე. ბოლოს ჩვენმა პროფესიალურად რამაზ ქვათაძემ,

მართალია, დიდი დაგვიანებით, კინოფილმი მოიტანა. „ინსტიტუტში ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი“ – გამოაცხადა გახარებულმა ნ. ამაღლობელმა. მართლაც, შემდეგი სახალწლო ზეიმი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ჩავატარე (წამყვანი – ლია ლიპარტიანი).

აქ უნდა გავიხსენო კიდევ ერთი ტრადიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ნ. ამაღლობელი, რ. სალუქვაძე, თ. კოპალე-იშვილი, გ. ნიკობაძე, ვ. ცინცაძე, გ. ქანთარია, გ. დოლიძე, თ. სანაძე, გ. პატარაია, ო. სამადაშვილი, ბ. კიკიანი, თ. გაჩქი-ლაძე და სხვ.: ყოველწლიურად, 31 დეკემბერს, დღის 12სთ-ზე, ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები იკრიბებოდნენ რამდენიმე საათით თსუ ფიზიკის ფაკულტეტ-ზე თ. სანაძის ლაბორატორიაში და სიმბოლური, სახელდახე-ლო სუფრით, ერთმანეთს ულოცავდნენ ახალ წელს. შეხვე-დრებზე სისტემატურად მოდიოდნენ აგრეთვე რ. ჩიქოვანი, თ. იოსელიანი, რ. კაზაროვი, ჯ. ხაჩიძე და სხვ. ტრადიციის ინიციატორი თ. სანაძე იყო. მონაწილეთა აღრიცხვას გ. ნიკო-ბაძე აწარმოებდა. ბუნებრივია, ბოლო წლებში თანდათან მცირდებოდა მონაწილეთა რიცხვი. თ. სანაძის გარდაცვალე-ბის შემდეგ შეხვედრა ერთი-ორჯერ კიდევ შედგა მისი მეუღლის მონაწილეობით.



თსუ ფიზიკის ფაკულტეტის 1953წ. გამოშვების  
სტუდენტთა ერთი ჯგუფი

### III

მალე ნ. ამაღლობელი რექტორად დააწინაურეს. პრორე-  
ქტორობიდან განთავისუფლებული პროფესორი გურამ ჭილა-  
შვილი, ჩვენი საყვარელი ლექტორი, მალე სავადმყოფოში  
მოხვდა. დუბნაში მივლინების წინ მოვიკითხე. ის ქავთარაძის  
ქუჩაზე „ლეჩომბინატში“ იწვა. ინსულტი ჰქონდა, ვესტი-  
ბიულში ინგალიდის ეტლში იჯდა და ახალგაზრდა ექიმი-  
ქალი და ცოლი მის ალაპარაკებას ცდილობდნენ. მოკლედ,  
ძალიან შემეცოდა ამ დღეში მყოფი გ. ჭილაშვილი.

- იცანი გურამ? – ჰკითხა ექიმმა ჩემზე.

- კი... შუდრა... – ამოილუდლუდა გურამმა. ორიოდე  
ფრაზის შემდეგ კი პალატაში დაბრუნება ითხოვა. ჩვენ  
ეტლი ჰალატაში შევაგორეთ და საწოლში გადავაწვინეთ.  
გურამს თვალებზე ცრემლები შევამჩნიე. ამის შემდეგ ის  
რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.



ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი, მარცხ.: ლ. ახობაძე,  
ო. შუდრა, მ. ჯანაშვილი, ც. იოსელიანი, თ. გულბათაშვილი,  
დ. ბახტაძე, თ. ნადარეგაშვილი, ლ. აბესალაშვილი, ფ. ბაქრაძე,  
ა. ხუჯაძე, მ. ბაქრაძე, ნ. ბოკულავაძე

მალე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 6. ამაღლობელი ისე მოხსნა თანამდებობიდან, რომ მან ეს შემთხვევით, ტელევიზით შეიტყო.

ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტი შევამჩნიე: თანამდებობიდან გადაყენებულ ადამიანებს ძველებური ყურა-დღების, პატივისცემის მოთხოვნილება უჩნდებათ. აკად. ვლა-დიმერ (ვოვა) ჭავჭავაძიმე, დიდებული პიროვნება, კიბერნეტი-კის ინსტიტუტის დირექტორობიდან გათავისუფლების შემდეგ მართვის სისტემების ინსტიტუტის პატარა განყოფილების გამგე გახდა. ერთხელ, რექტორატიდან ერთად გამოვედით და ვარაზისხევზე რომ გადავედით, ტაქსის გაჩერება და სამსა-ხურში წაყვანა მომთხოვა. რასაკვირველია, შევუსრულე ეს თხოვნა დისერტაციის ყოფილ ოპონენტს.

მეორე მაგალითი: პროფ. ზურაბ ფორაქიშვილი განათლების მინისტრის მოადგილე, შემდეგ უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, ბოლოს კი კერძო, სუსტი ინსტიტუტების ლექტორი გახდა. ერთხელ, ამაღლობელის კაბინეტიდან გამოსულმა მისალებში რომ დამინახა, მომთხოვა: „შუდრა, აბა პალტო ჩამაცვი...“.

ინსტიტუტის თეორეტიკოსებსა და წარმოების მუშაკებს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. თეორეტიკოსები მათ უყურებდნენ როგორც მუშებს, ხელოსნებს. მახსოვს, პროფ. (შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა) ანზორ ხელაშვილმა თათბირზე უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ინსტიტუტის ჭიშკართან წარმოების მუშები „კოჭს“ აგორებდნენ. აკადემიკოსი თ. კოპალეიშვილიც აღრენილი იყო ხოლმე ჯემალ ბაკაშვილზე და ამაღლობელს თათბირზე მოუწია ეთქვა: „ვიცი რაც არ მოგწონს – კახელი რომაა“... ასეთი განწყობილების საწინააღმდეგოდ 6. ამაღლობელი ჩვენ ხშირად

გვეტყოდა ხოლმე: „ღმერთმა ზელოსანი და პროფესორი ერთი  
მასალისგან შექმნაო“...



**ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი.  
ჯ. ბაკაშვილი (ცენტრში)**

სამწუხაროდ, ძალიან ადრე გარდაიცვალა წარმოების  
მთელი ხელმძღვანელობა: ჯ. ბაკაშვილი, კოტე ხიზდერი,  
შუქრი ბარაბაძე, ვადიმ შვარცმანი, იური ჩხეიძე... ეს უკანა-  
სკნელი, თბილისში რომ ცხოვრება ჩაკვდა, მოსკოვში წავიდა  
და იქ უპოვიათ სამშენებლო მოედანზე, მოკლული.

დავუბრუნდეთ 1995 წელს. დეკემბერში დირექტორი  
ა. თავხელიძე გახდა. ნ. ამაღლობელი პარლამენტში გადავიდა  
და დირექტორის მოადგილეობა დაიტოვა. ფ. ტყებუჩავა,  
როგორც ზ. გამსახურდიას მთავრობის კავშირგაბმულობის  
მინისტრი, საქართველოდან გაქცეული იყო. მისი კაბინეტით  
ისევ ნ. ამაღლობელი სარგებლობდა. მეცნიერების დაფინანსე-  
ბა სულ უფრო მცირდებოდა. ჩემს მუშაობაში შემოიჭრა  
უძლურების, უაზრობის და მოწყენილობის განცდა.

1996წ. თებერვალში საქმები გადავაბარე გი-ვი ნიკობაძეს, რომელიც სამეცნიერო საბჭოს სწა-ვლული მდივანი იყო (ერთი ოთახი გვქონდა).

დირექტორი წასვლის შემდეგ მივხვდი, რომ აღმინისტრაციული მუშაობა, როგორც წესი, ადამიანს აჩლუნებს და სულიერად რყვნის.

ამავე წელს ზაფხულში სტატისტიკის დეპარტამენტის გამომცემლობამ გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო (ლექციების კონსპექტი დოკუმენტალისტიკაში), რომელიც ორ თვეში დავწერ.

დირექტორი წამოსვლის შემდეგ ინტენსიურად დავიწყე ლექციების კითხვა და მეთოდური სტატიების წერა. ჩემი სტატიები რებრიკით „მართვის კულტურა“ წლობით იბეჭდებოდა ქართულ უურნალ-გაზეთებში, ძირითადად კი უურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ში (რედ. ემზარ ჯგერენაია).



ინსტიტუტის ეზოში. საცდელი  
წარმოების დირექტ. ბ. ჭილაძე,  
სწ. ძაივანი ო. შუდრა

## ნებისყოფა (აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი)

ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალუბს, ვისაც მიპა-  
ლებია გულთა სრულობა, დიდხასიათობა, იმისდა  
მაუხედავად, ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყო-  
ველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა  
ჰქალულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან  
კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან.


ილია ჭავჭავაძე

მას შემდეგ, რაც დოც. გივი ქანთარიამ (კიბერნეტიკის  
კათედრის გამგემ), 1964წ. უნივერსიტეტის პირველი კორპუ-  
სის ვესტიბიულში გამაცნო ნოდარ ამაღლობელი, 40 წელი  
მასთან ერთად გავატარე. მე ნ. ამაღლობელს ვიცნობდი,  
როგორც უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის  
განყოფილების გამგეს, პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი  
ლაბორატორიის გამგეს, ინსტიტუტის დირექტორს, უნივერსი-  
ტეტის პრორექტორს, რექტორს, სსრკ უმაღლესი საბჭოს  
დეპუტატს, პარლამენტის მეცნიერების კომიტეტის თავმჯდო-  
მარის მოადგილეს და, ბოლოს, ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს.

მე მისგან ისე დიდად ვარ დავალებული, რომ ადვილია  
გავაიდეალო იგი, რასაც ხშირად ვხვდებით ხოლმე გამოჩენილ  
ადამიანთა მოგონებებში. ასეთი კანონიკური სახე ძალზე უცხოა  
თვით ჩვენი „შეფისთვის“ (როგორც მას ვუწოდებდით თანამ-  
შრომლები). ის იყო ტემპერამენტიანი და მებრძოლი, ამასთან  
ადამიანისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებითა და სი-  
სუსტეებით. სწორედ მისი ნატურის ეს შენადნობი ქმნის  
ცოცხალ ჩაუმქრალ სახეს...

მე მინახავს ნ. ამაღლობელი დინჯად მოსაუბრე, მშვიდი და გონიერი, კეთილი ღიმილით საგსე, მინახავს ძლიერ აფორიაქებული, შეუპოვარი და ზოგჯერ დაუზოგავიც ...

მის ძირითად თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს სიყვარული და აქედან გამომდინარე, ძლიერი მიზანს-წრაფვა, უშრეტი ენერგია, შინაგანი სიძლიერე, საქმისათვის თავდადება. მასზე თითქმის არაფერს წერდნენ სიცოცხლის პერიოდში, ამიტომ მინდა, ზოგი რამ მოვიგონო ჩვენი ერთად მუშაობიდან. იმედია, ზოგიერთი საიდუმლოს გამზელას ის მაპატიებს...



ასპირანტი ნ. ამაღლობელი დუბნაში

## I

1964წ. ნ. ამაღლობელს თსუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველ სართულზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში (გამგე პროფ. გიგა მირიანაშვილი) ერთი პატარა ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. მას ყველა პატივისცემით ექცეოდა. მიუხედავად ასაკისა (33 წლის იყო), ჩამოყალიბებული პირო-

ვნება გახლდათ და უკვირდა, როცა „ქერქეტა“ (მისი საყვარელი სიტყვა) კოლეგები საქმიანი მოლაპარაკების პირობებს გადათქვამდნენ ხოლმე. „კი, მაგრამ, ხომ მოვილაპარაკეთ?“ – ხშირად გამიგია მისგან. ძალიან მომეწონა მისი ფრაზაც: „რას ნერვიულობ, ვერ ხედავ რომ გაუნათლებელი ხალხია გარშემო?“

ჩვენ, 23-24 წლის თანამშრომლებს, გვინერგავდა პროფესიონალიზმს. მას ყველანი უბრალოდ, სახელით მივმართავდით (ისევე როგორც ალექო თავხელიძეს). რადგან ის საღამოობით რჩებოდა ხოლმე, ჩვენც მისი მიბაძვით, 8-9 სთ-მდე შინ არ მივდიოდით. ერთხელაც გვირჩია: „მე კი ვრჩები, მაგრამ თქვენ ახალგაზრდები ხართ, უნდა გაიარ-გამოიაროთ, ასე რომ, მე ნუ მიყურებთ“...

მახსოვს, ახალი წლის საღამოს, მის სამუშაო მაგიდაზე მოკრძალებული სუფრა გავშალეთ. ათიოდე ახალგაზრდა ვისხედით. ფიზიკოსმა ა. ბურჭულაძემ (რომელიც შემდეგ მთავრობის სახლში მუშაობდა), ნ. ამაღლობელის სადღეგრძელო წარმოთქვა: „რა ბედნიერი ხართ, რომ ასეთი ყურადღებიანი ხელმძღვანელი გყავთ...“

6. ამაღლობელმა ახალგაზრდებს ცხოვრების რამდენიმე პრინციპი შეგვახსენა:

–არ უნდა აწყენინოთ ადამიანს; რაც მეტ ხალხს იცნობ, უფრო ადვილია ცხოვრება; რადგან მეცნიერ-თანამშრომლები ვართ, ჩვენს საქმეში პროფესიონალები უნდა ვიყოთ. ერთ-ერთი პრინციპით კი – ადამიანს არ უნდა მისცე უფლება თავისი საქციელით ჩაგაშხამოს ცხოვრება და ამის თვალსაჩინო მაგალითი მოიყვანა:

– მე, რეზო სალუქვაძე და ალექო თავხელიძე მოსკოვიდან მატარებლით ვმგზავრობდით. რეზო და ალექო ქვევით იწვნენ, მე კი ზევით ავძვერი. იქვე ეძინა ვიღაც მთვრალს,

რომელიც მატარებლიდან შუალამეს ჩასულა. დილით, თბილისში რომ შემოვდიოდით და ჩატარა დავიწყეთ, გავიგონეთ რეზოს გამწარებული გინება: მისი ფეხსაცმელი იმ ლოთის შ...დით იყო სავსე...

საერთოდ, ნ. ამაღლობელს უყვარდა ასეთ „ფაქიზ“ ოემებზე ხუმრობა (ვიდრე რექტორი გახდებოდა, უფრო „ხალხური“ ტერმინებით აზავებდა ხოლმე თავის ანეკდოტებს).



**ნ. ამაღლობელი უნივერსიტეტის ლაბორატორიაში  
(კოლეგებთან ერთად). 1964 წ.**

იმ წლებში აღფრთოვანებული ვიყავი ნ. ამაღლობელის წესიერებით და პატიოსნებით. ერთხელ, მეზობელი ლაბორატორიის გამგემ ნოდარ გვილავამ, რომელთანაც ნ. ამაღლობელის მეუღლე მერი გეთია მუშაობდა, იგი ჩვენს ლაბორატორიაში რადიონაწილების „სასესხებლად“ გამოგზავნა. ნ. ამაღლობელი არ იყო და რასაკვირველია, „შეფის“ მეუღლეს, ყველაფერი გავატანეთ, რაც სჭირდებოდა.

როგორც შემდგომ მ. გეთია ჰყვებოდა, როცა ეს ამბავი შინ გვიან დაბრუნებულმა ნოდარმა გაიგო, მიუხდაგად იმისა, რომ სტუმრები დახვდა, არ მოერიდა და მაგრად იჩხუბაო.

„ასე ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ როგორაა მომართული“, „აფერისტებისაა ეს ცხოვრება“, „სოციალიზმის ფორმულა გარკვეულ ეტაპზე ადამიანის მაღალ ზნეობას მოითხოვს“, „წესიერებას და კულტურას სისუსტეში მითვლიან“ – ხშირად უთქვამს ჩემთვის. ნ. ამაღლობელი სიამოვნებით ეხმიანებოდა გარემომცველთა ინტერესის გამოვლენას ფიზიკისადმი, ხოლო მანქანის საჭესთან რომ დაჯდა, ფეხით მოსიარულეებს გადა-სასვლელზე, სხვებისგან გასხვავებით, გზას უთმობდა ხოლმე.



ინსტიტუტის პირველი კორპუსის მშენებლობა, 1967წ.  
ნარაჩოებში (უკანა პლანზე) თხუ მაღლივი კორპუსია



ნ. ამაღლობელის კაბინეტი და სამუშაო მავიდა, 1970წ.

საერთოდ, აღსანიშნავია ჩვენი კოლექტივის საერთო ატმოსფერო და მისი მორალურ-ეთიკური საფუძველი – დემოკრატიული სული. იშვიათად მინახავს ლაბორატორიის გამგე, ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც ნებისმიერი ახალგაზრდა თანამშრომელი საქმაოდ მწვავედ ეკამათებოდეს...

ჯერ კიდევ იმ წლებში ჯამრთელობის პრობლემები ჰქონდა, თუმცა არ იმჩნევდა. შემდგომ წლებში, უკვე ინსტიტუტის პერიოდში, მითხრა – „ამ დღეებში თურმე მიკროინფარქტი ფეხზე გადამიტანია“. ძალიან ბევრს ეწეოდა, მაგრამ ისეთი ნებისყოფა ჰქონდა, რომ ექიმის მოთხოვნით, თავი ერთ დღეში დაანება.





**ინსტიტუტის მეორე კორპუსის მშენებლობა.  
80-იანი წლები**

ვერ იტანდა ეგოზმს. თეორეტიკოსებზე ამბობდა ხოლმე: „მთელი დღე წიგნებში რომ იცქირებიან, მერე ეგოისტები ხდებიან“. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ როგორც ზოგ მეცნიერს, ფიზიკაზე წიგნების კითხვა არ უყვარდა (შეძენით კი იძენდა). „ყველაფერს ხომ არ წაიკითხავ, ზოგი რამ თვითონ უნდა მოიფიქრო“ – უთქამს სშირად. შეიძლება, მართალიც იყო, მაგრამ სწორედ ამას მოჰყვა მისი ხანგრძლივი კონფლიქტი უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივთან – „როგორ თუ პრორექტორმა ჩვენს წიგნებს მაკულატურა უწოდაო“?! სამაგიეროდ, წერა ეხერხებოდა. ჩემი დისერტაციის ტექსტს დიდხანს ვერ ვწერდი, ვიდრე მან არ დამაკვალიანა.

ახალგაზრდობაში ნ. ამაღლობელი აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილთან, ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. მან გაუშვა ნოდარი ასპირანტურის წლებში დუბნაში. შემდეგ ბინაც მისცა დილომში. ნ. ამაღლობელი მალე აუჯანყდა მას (მასწავლებლის კრიტიკა ხომ მეცნიერის ზრდის ნიშანია),

და წამოვიდა უნივერსიტეტში. „კრუხივით უნდა რომ ყველა-  
ფერს გადაეფაროს, — ამბობდა ნოდარი, — მე ხომ ვიცი ჩემი  
შესაძლებლობები“.

## II

უნივერსიტეტში კი უწესრიგობა იგრძნობოდა. რექტორის,  
აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას ავტორიტეტი სულ უფრო  
ეცემოდა. განთავისუფლების შემდეგ ვ. ოკუჯავამ სპორტულ  
ჩანთაში ჩაყარა პირადი ნივთები და დაცალა კაბინეტი.  
1985 წლის ივნისში, ნოდარი რექტორად წარადგინა საქ.  
კომპარტიის ცკ მდივანმა გურამ ენუქიძემ. იმ დღეს ჩვენ,  
ლირექცია, ჯემალ ბაკაშვილის მანქანით პირველი კორპუსიდან  
ინსტიტუტში ვბრუნდებოდით. უნივერსიტეტის სხდომათა  
დარბაზში სახეალეწილი ნოდარის გარშემო საერთო აუთოტა-  
ჟისა და ტაშის გრიალის მიუხედავად, ჯ. ბაკაშვილმა დელი-  
კატურად ჩაილაპარაკა: მე მეტვება, რომ ნ. ამაღლობლის  
ჯანმრთელობამ ასეთ მძიმე ტვირთს გაუძლოს. მეც დაგეთანხმე.  
ცხოვრებამ აჩვენა, რომ ასეც მოხდა.

რექტორობის პირველი თვე ნ. ამაღლობელს ძალიან გაუ-  
ჭირდა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე ძალიან აფორი-  
აქტული მოდიოდა ხოლმე.

1988წ., ნ. ამაღლობელმა საქ. მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის ნამდვილ წევრად წარადგინა თავი (საბუთები მე  
გამატანა ჩასაბარებლად). მისი კონკურენტი იყო კარგი მეცნი-  
ერი, თანაკურსელი თენგიზ სანაძე. საინტერესოა, რომ ორსა-  
ფეხურიანი აკადემია მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო. ისტო-  
რიულად, მეფის დროს რუსეთის აკადემიკოსები პეტერბურგში  
ცხოვრობდნენ, ხოლო ვინც დედაქალაქში არ ცხოვრობდა და

პეტერბურგში იშვიათად ჩადიოდა ხოლმე, იყო წევრ-კორესპონდენტი. შემდგომ, ცხადია, ამ სისტემამ საწყისი აზრი დაკარგა.

6. ამაღლობელის რექტორობის პერიოდი (1985-91წწ.), დაემთხვა გორბაჩოვის „პერესტროიკის“ როულ პერიოდს. დღესაც თვალშინ მიღას (იმ დროს დისიდენტი) ზვიად გამსახურდია, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში, მიტინგზე, უცხოელ კორესპონდენტებს ადმინისტრაციასთან შეხლა-შემოხლის შედეგად გარღვეულ პიჯაკს აჩვენებდა. აღელვებული ნოდარი კი, რომელიც კართან, შეამღლებულზე იდგა, მოუწოდებდა ეგზალტირებულ ახალგაზრდობას: „ჩამოდით წმინდა საფლავებიდანო...“

მახსოვს, სააქტო დარბაზში რექტორის „კოლექტიური დამუშავება“ (მაშინ ეს მოდაში იყო), როდესაც სცენაზე პროფესორი ციალა სვანიძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტიდან) ჩაციებით, კარგად დაყრებული დიქციით ეკითხებოდა პირველ რიგში მჯდომ ნ. ამაღლობელს: „სად გაქრა ის ქვა?“ (სამურნეო სამსახურს ეზოდან რაღაც ისტორიული ქვა წაუღია...), „შემდეგ... კვალიფიციური სპეციალისტი, დოცენტი რ.ფ. თქვენს გამო დიდხანს ვერ ავიყვანეთ შტატში...“ (რ.ფ. ჩემი თანაკლასელი იყო და ისე დაამთავრა სკოლა, ორიანზე მეტი ნიშანი არ მიუღია, მაგრამ ეს ხომ არ იცოდა ნოდარმა).

ერთხელ ცპ პირველ მდივანთან, ჯუმბერ პატიაშვილთან ასეთივე ხმაურიანი შეხვედრისას სააქტო დარბაზის ჭერიდან პრეზიდიუმის მაგიდის წინ საკმაოდ დიდი, ცუდად მიწებებული კერამიკის ფილა ჩამოვარდა... ყველას პროვოკაცია გვევონა, შემთხვევით კი ჩამოვარდნილა.

ბუნებით მორიდებულ ნ. ამაღლობელს ასეთ მღელვარე წლებშიც მუშაობის თავისი სტილი ჰქონდა: არასდროს მდივანს ზარით არ გამოიძახებდა, თვითონ გამოვიდოდა კაბინეტიდან

და ისე აძლევდა დავალებას. კადრების განყოფილებაში გაოცებული იყვნენ, რომ მათთან საქმეზე თავად რექტორი შედიოდა. ჩვენი ინსტიტუტის კანცელარიის გოგონებთან სელექტორით საუბრისას აუცილებლად ეტყოდა: „ამაღლობელი გაწუხებთ...“

რექტორატში „ჭრელ ხალხთან“ ურთიერთობით გადაღლილი, საღამოს 5-6სთ-ზე ინსტიტუტში შემოივლიდა, ძაღლის საჭმელს, კონსერვს, ძვლებით სავსე პარქს თავისი ხელით გახსნიდა ხოლმე... ეტყობა, ჩვენი კავკასიური ნაგაზის ერთგულებით სულიერად ისვენებდა. არ უყვარდა, როცა ამ დროს მე, როგორც დირექციის წევრი, მოსკოვის ჩინოვნიკების მიერ გამოგზავნილ (ყოველთვის უაზრო) ქაღალდებით მივადგებოდი, ან საქმეზე ვესაუბრებოდი ხოლმე.

საერთოდ, დასვენების რომელიმე აქტიურ ფორმაზე, როგორიცაა ალპინიზმი, თხილამურები და სხვ., დროს არ კარგავდა. ისე, სპორტი ყოველთვის უყვარდა. ახალგაზრდობაში (რ. სალუქვაძესთან ერთად) კალათბურთს თამაშობდა, შემდეგ ფრენბურთმა გაიტაცა და რექტორობის დროსაც კი, უნივერსიტეტის დარბაზში, საღამოობით ფრენბურთს თამაშობდა. მის კაბინეტში ყოველთვის იყო სპორტული ფორმა. „ოფლი თუ არ გამოიდინე, ისე არაფერი გამოვა,“ – უთქვამს ჩემთვის.

სუფრაზე კი, როგორც თვითონ ამბობდა, „ფილოსოფია“ უყვარდა. სასმელის შემდეგ, რატომდაც, რომელიმე თანამშრომელი მისი მსუბუქი ირონიის და გაკენწვლის მსხვერპლი ხდებოდა.

6. ამაღლობელი ზვიად გამსახურდიამ 1991წ. რექტორობიდან რომ გაათავისუფლა, ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში დაბრუნდა. რექტორობიდან მოულოდნელი განთავისუფლების შემდეგ, ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე, თითქოს თავის მართლებით, 6. ამაღლობელმა გვითხრა, რომ მას არ ჰყოლია „ბიძა“, რომ კარიერაში დახმარებოდა; რომ

საქართველოში თანამდებობას დიდ ყურადღებას აქცევენ და ის იძულებული იყო რექტორობის მძიმე ტვირთი ეტვირთა, რათა ინსტიტუტის მიმართულება გადაერჩინა.

ზ. გამსახურდიას წასვლის შემდეგ ნოდარი (ე. შევარდნაძის ხელშეწყობით) პარლამენტის მეცნიერების და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. თავმჯდომარის – რ. მიმინოშვილის გარდაცვალების შემდეგ კი – კომიტეტის თავმჯდომარე.

„აფხაზეთის ომი“ რომ დაიწყო, ნ. ამაღლობელი ინსტიტუტის გზაზე შემხვდა. რაღაც ვიგრძენი ინსტიქტურად და სალმის შემდეგ გავჩერდი. „აჩიკო ომში წავიდა“ - მომახალა. „ეს როგორ, მერე... თქვენ გაუშვით?“ – გამიკვირდა. „აბა, რა მექნა... დამარწმუნეს ბიჭებმა...“

მალე რევაზ სალუქვაძის ვაჟმა – ზაზამ თვითმფრინავით აჩიკო და პროფესორ გურამ დოლიძის შვილი – მალხაზი ჩამოასვენა. აქ ივაჟკაცა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ჯუმბერ თათრიშვილმა, რომელმაც აეროპორტში ოთახში უწესრიგოდ დაყრილი, გაშეშებული გვამების საზარელი გროვიდან აჩიკო მოქებნა.

დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნ. ამაღლობელი ისევ ინსტიტუტის გზაზე დავინახე. გამიხარდა, გადავკოცნე. თვე ისე გავიდა, დერეფანში გამოსული ან რექტორატში წასული არ მინახავს... ხალხს ერიდებოდა. იჯდა და ლექსიკონით უაზროდ, მექანიკურად ინგლისურიდან თარგმნიდა... თუ კი კაბინეტში შევიდოდი, შვილზე მელაპარაკებოდა.

ამაღლობელის პირად ტრაგედიას ბევრი იყენებდა და ფაქტობრივად, მასზე ცუდ ზემოქმედებას ახდენდა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი „შეფი“ არ იყო მოკლებული ადამიანურ სისუსტეებს. მისთვის უცხო არ იყო პატივმოყვარეობა, ზედმეტად აფასებდა თანამდებობებს. ზოგჯერ კი

ძალზე რბილი და დამთმობი იყო, რაც ხშირად მისი მოწაფების უკმაყოფილებას იწვევდა...

ინსტიტუტში შეწყდა პატიოსანი, „უპატრონო“ თანამშრომლების აყვანა. უკანასკნელი, თუ არ ვცდები, ვაღერი ჩუნიხინი იყო. ეს, ჩემს გარდა, სხვა თანამშრომლებსაც აწუხებდა. შტატების შევსებისას გავლენიანი ადამიანების ხელი იგრძნობოდა.

### III

2004 წელს ნ. ამაღლობელს ფილტვის კიბოს დიაგნოზით ნახევარი ფილტვი ამოკვეთეს. მაინც მხნედ გამოიყურებოდა. გახარებული იყო, რომ მიღო კანონი მეცნიერ მუშაკთა პენიებზე (მაგ. დოცენტს - 400 ლარი). ეს კანონი ახალმა მთავრობამ ერთ წელიწადში გააუქმა.



**ნ. ამაღლობელი, ბ. ჭილაძე (დირექტ. მოადგილე), ბ. ნიორაძე  
(ინსტ. დირექტ. 2004 წ.-დან)**

ბოლო წლებში ტრადიციასავით დამკვიდრდა, რომ 2-3 თვეში მის კაბინეტში უნდა მივსულიყავი და ერთგვარი ანგარიში ჩამებარებინა. ამ ვადას თუ გადავაცილებდი, „სად

ხარ დაკარგულიო“- მეტყოდა. ეს შეხვედრები 15-20წთ-ს არ აღემატებოდა. ბოლო წლებში არაფერს ვთხოვდი, ამიტომ, ჩვენი შეხვედრები ყოველგარი ურთიერთგალდებულების გარეშე, ძალზე სასიამოვნო ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პარლამენტში უნდა შემდგარიყო პარასკევს, 2005წ. 1 აპრილს, შუადღის 12სთ-ზე.

მის მისაღებში 12სთ-ზე რომ შევედი, იქვე იდგა. შემიპატიჟა კაბინეტში. ჩვენი საუბრები ყოველთვის კაბინეტის სიღრმეში, საწერ მაგიდასთან მახსოვს: ტელეფონის ზარები, მდივნის მიერ შემოტანილი ქაღალდები, წერილებით სავსე მაგიდა - ჩვენს საუბარს ცოტა ოფიციალურ ელფერს აძლევდა ხოლმე. ახლა კი შინაურულად, გრძელი მაგიდის ბოლოში კართან ახლოს ჩამოვჯექით და საუბარიც უფრო გულახდილი გამოვიდა: ნახევარი საათი არც ტელეფონს დაურეკია, არც არავინ შემოსულა.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის გრიპის გართულებისგან თუ კიბოს მეტასტაზებისგან ხმაწართმეული, ყველა კარიერისტისგან მიტოვებული, გულგატეხილი იყო. როგორც ყველა ხანდაზმული, ვიღაცაზე და რაღაცაზე ნაწყენი იყო. „ყველაფერზე ნერვიულობს,“- მითხრა გულისტკენით სამდივნოს ხნიერმა ქალმა.

მისი სადეპუტატო ვადა გასული იყო, თუმცა კაბინეტიდან ჯერ არ გამოდიოდა. დღე-დღეზე გასაღები უნდა ჩაებარებინა. ეტყობოდა, ამასაც განიცდიდა. წასვლის წინ შევეკითხე, თუ სად შედგებოდა ჩვენი შემდგომი შეხვედრა. „არ ვიცი,“- მიპასუხა დაბნეულად. ხელმეორედ შეკითხვის შემდეგ კი იუმორით დააზუსტა: „ჯერ-ჯერობით ინსტიტუტში ოთახი შემინარჩუნეს და ალბათ იქ შეიძლება... ვერ ვარ კარგად... უკვე 75 წელს მივაღწიე“ – თუმცა ადრე ასაკს კი არ უმატებდა, იკლებდა ხოლმე.

იმავე დღეს 17 სთ-ზე უნივერსიტეტში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში თანამშრომელთა შეკრებაზე მისულა, სადაც უნივერსიტეტში მეცნიერების ე.წ. „რეფორმის“ პროექტზე აველინა დავითულიანი (აკად. თენგიზ სანაძის მეუღლე) საუბრობდა. ეს მისი ბოლო კრება იყო. აქაც გულისტკენა...

კვირას შინ სტუმრები ჰყოლია, შემდეგ ბადრი ჭილაძე-სთან შეთანხმებულა ორშაბათს ინსტიტუტში შეხვდრაზე.

ორშაბათ დილას კი საავადმყოფოში წაუყვანიათ ინსულტის დიაგნოზით. კვირას, გვიან საღამოს, 6. ამაღლობელი გარდაიცვალა.

დაკრძალვის შემდეგ რა გუნებაზეც ვიყავი, კარგად გადმოსცემს ლერმონტოვის ფრაზა: «И жизнь, как посмотришь с холодным вниманием вокруг, - такая пустая и глупая штука».

დაბოლოს, ამაღლობელის ადამიანური სისუსტეები ვერ გადაფარავს მის უდიდეს ნებისყოფას (რაც სახეზეც ეტყობოდა), სამეცნიერო-ორგანიზაციულ და განსაკუთრებით, სტრატეგიულ ნიჭებს. მან ჩვენს რესპუბლიკაში, სუსტი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის (ყოველ შემთხვევაში, ექსპერიმენტულ ფიზიკაში) მიუხედავად, შეძლო სამეცნიერო კვლევების ორგანიზაცია და კვალიფიციური კადრების მომზადება.

საერთოდ, ნოდარი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი კადრების აღზრდას, მომარაგებას, რეზერვებს. მისი გონიერა ყოველთვის 5-7 წლით უსწრებდა რეალობას. მუშაობაში მას შეეძლო გამოეყო ძალისხმევის მთავარი მიმართულება. ჩვენც ამას გვასწავლიდა.

მე ამაღლობელის მოწაფე ვიყავი და ბევრი რამ ვისწავლე მისგან. წლების განმავლობაში მისი პიროვნების შარმის ქვეშ ვიყავი. მისი სახე, თვალები, რაღაც შინაგანი სინათლით იყო გასხივოსწებული და რწმუნდებოდით, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია, დიდი ინტელექტით. მასთან საუბრის შემდეგ გინდოდა

მეტი მუშაობა, მეტის გაგება, მეტი სიყვარული, მეტი სიძულვი-ლი... მაგრამ ყოველთვის მეტი!

მაღალი, წარმოსადევი ნოდარი გამოირჩეოდა ადამიანებისაღმი განსაკუთრებული ყურადღებით, მუდამ ფიქრობდა და ზრუნავდა მრავალი ადამიანის ბედზე. ის ორჯერ მიიწვიეს აშშ-ში ექსპერიმენტებში სამუშაოდ, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვტოვა...

უაზრო აკრძალვების ჩარჩოებში შეუძლებელი იყო საქმის კეთილსინდისიერად კეთება, რომ კანონი არ დაგერღვია. „ყველა ინსტრუქცია რომ შეასრულო, მაშინ არაფერი არ უნდა აკეთო“ – ამბობდა ნ. ამაღლობელი. ეს ხომ ძველი სიუჟეტია – კარგი ადამიანი მნელ ადგილზე, მძიმე წლებში. უნდა გავუგოთ, როგორ უჭირდა მას.

აქლა, როცა გავიდა წლები, ხედავ, რომ მისი „სუსტი წერტილები“ შედევი იყო უზომოდ გაზრდილი პიროვნებისა, რომელმაც ჩვენი ცხოვრებით ნაკვებ ასთავიან ურჩხულთან ბრძოლაში, ადამიანებს ძალზე გაუსწრო, ხოლო შინაგანი მარტოობისა და ტკივილისაგან ნიჰილიზმი განუვითარდა...

როგორც სჩანს, ნიჭიერ და პატიოსან ადამიანს ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის პირობებში (კარიერის მწვერვალს მიღწეულსაც კი), არ შეუძლია ქვეყნისათვის (და არა მისთვის) ძალის საჭიროს, ჩაფიქრებულის რეალიზაცია. მაგრამ შეუძლია, პრინციპში, შეინარჩუნოს სუფთა ხელები და წავიდეს ღირსეულად, შესაძლოა იმ იმედით, რომ მას შთამომავლობა დააფასებს, მაგრამ უფრო ხშირად, ამ იმედის გარეშე...

## ხასიათი (აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე)

*О мертвых надо говорить  
правду, либо ничего*

Акад. В.Л. Гинзбург

როცა ნაკლებე, შეცდომებზე არ წერო,  
საკითხავადაც ისე საინტერესო არ არის.  
აი, ნახე, როგორ წერებ ფრანგები  
თავიანთ დიდ მწერლებზე, მსახიობებზე...  
ადამიანური სისუსტე უფრო საინტერესოა  
მკითხველთათვის, ვიდრე ქება.

ეროსი მანჯვალაძე

დუბნაში ჩასვლამდე პროფესორ ალბერტ თავხელიძეს არ ვიცნობდი. ამიტომ, ახალგაზრდობის გამო, თვალში მისი ნაკლოვანებები უფრო მხვდებოდა. თბილისის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ლაპარაკი რუსულად უყვარდა. ვიდრე გავიცნობდი, ამხანაგებმა მითხრეს: თუ ხედავს, რომ ქართველი ქუჩაში უსაქმოდაა ან ერთობა, ვერ იტანს და თავად ესალმება: «ვძრავს თე», თუ კი ხედავს, რომ ბიბლიოთეკაში ან სადმე მუშაობს - მაშინ „გამარჯვობათ“ და შეიძლება ხელიც ჩამოართვასო.

1969წ. დუბნის ადმინისტრაციამ გამაფრთხილა, რომ თბილისში გასაგზავნი ოპტიკური აპარატურა (ორი დიდი „გამზომი“ მაგიდა) რკინიგზით შეიძლება დაზიანდეს და ამიტომ კარგი იქნებოდა საბარგო მანქანის გამოგზავნა (ასე წაუღია ერევნის ფიზიკის ინსტიტუტს).

მივწერე წერილი ნ. ამაღლობელს. „მარსიდან ჩამოსული ხომ არ ხარო“ – მომწერა მისმა თანაშემწემ, ციალა იოსელიანმა. მაშინ გადავწყვიტე ა. თავხელიძესთან მისვლა.

მეცნიერთა სახლის სამკითხველოში უურნალ-გაზეთებს ათვალიერებდა. სახე ალექსილი ჰქონდა, ალბათ გადაღლისგან.

შევედი და ნ. ამაღლობლის სახელით გადავეცი თხოვნა მანქანით დახმარებაზე.

«Ви научный сотрудник и должны хорошо соображать...»  
დამიწყო დამტკრეული რუსულით... მე ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ბოლომდე არც მომისმენია პასუხი.

ბოლოს მე და ჩვენმა ფიზიკოსმა იური თევზაძემ (ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორია), ჩემი ნახაზებით ხის კონტენტებს წვიმის სახურავი გაუკეთეთ და „გამზომი მაგიდები“ რკინიგზით გავაგზავნეთ. მათი დახმარებით რამდენიმე თანამშრომელმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

ეს ისტორია ნ. ამაღლობელს რომ შევჩივლე, „ნუ, ასეთი ხასიათი აქვს, შენც მოერიდე ხოლმე“ - მიპასუხა.



სხედან მარცხ.: დოც. ა. წელაშვილი, დოც. რ. სალუქევაძე,  
პროფ. ა. თავეჯლიძე, ასპ. მ. ჯლარჯავა, დოც. ნ. ამაღლობელი,  
დოც. ფ. ტყებუჩავა. დგანან: უძცროსი მეცნ. თანამშრომლები:  
ვ. ქმარელიძე, მ. ჩარგეიშვილი, ლ. მარჯოზაშვილი, შ. შოშიაშვილი,  
ვ. გოვოხა, ბ. ჭილაძე, მ. ნიორაძე, მ. ჩავლეიშვილი, დ. გერსამია,  
გ. ხმალაძე. დუბნა. 1970წ.

იმავე წლებში დუბნის პლაზტე რამდენიმე ქართველი ვის-ვენებდით, იქვე სკამზე ვიღაცის დატოვებული რადიომიმღები „სპიდოლა“ იდო. მოვიდა ა. თავხელიძე, გაიხადა, იცურავა, შემდევ მორიდებულად ვისაუბრეთ, თუმცა მერაბ ელიაშვილი (ამჟამად პროფესორია), როგორც მის ოჯახთან დაახლოებული, უფრო თამამად იყო. მე (ბუნებით მელანქოლიური ვარ), ცხადია, ხმაც არ ამომიღია.

ბოლოს, ყველამ ჩავიცვით და მივდივართ. «А радио кто из вас забыл?» - молчаливый а. таихелевидзе. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენი არაა. «А я думал всё время, который из вас такой дурак, что ходит со Спидолой».

რატომდაც ეს „პომპლიმენტი“ ჩემს თავზე მივიღე, რადგან დანარჩენი თეორეტიკოსები მისი მკაცრი ფილტრაციით იყვნენ დატოვებულნი დუბნაში სამუშაოდ.

მის ასპირანტებს უზომოდ ეშინოდათ მისი. ისინი გულ-ნატკენი დარჩენენ, როცა ერთ-ერთი უკრაინელი ასპირანტის, ვ. შელესტის დისერტაციის ბანკეტზე მის მშობლებს ცალკე სადღეგრძელო მიუძღვნა: «За здоровье уважаемых родителей»... შელესტის მამა, მოსკოვში ბრუჯნევის პოლიტბიუროს წევრი იყო და მან თავის შვილს კიევში თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი გაუხსნა, პოლიტბიუროდან გათავისუფლების შემდეგ კი შვილიც გაათავისუფლეს დირექტორობიდან.

ერთხელ, ასპირანტი ალექსანდრე კვინიხიძე (ახლა საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელიც ძირითადად, უცხოეთში დიდხანს ცხოვრობდა, ჩვენ კი მაშინ საშას ვეძახდით), საღამოს 9სთ-ზე შეწუხებული მოვიდა სასტუმროში, შიოდა და იქნებ რამე გაქვსო. გამი-კვირდა, ამ დროს პირველ სართულზე ბუფეტიც და სასადილო-

რესტორანიც მუშაობდა, მეცნიერთა სახლის კაფეც იქვე იყო. „ალექომ დღეს უკვე მნახა მეცნიერთა კაფეში, შემდეგ ჭურაში და ახლა რომ ქვევით დამინახოს, თბილისში გამავდებს.“ – შემეცოდა საშა, რადგან ნომერში არაფერი მქონდა და ის იმ საღამოს გახშმის გარეშე დარჩა.

ა. თავხელიძემ (ისევე როგორც ნ. ამაღლობელმა, რ. სალუ-ქაძემ, გ. ნიქოლაძემ, თ. კოპალეიშვილმა, თ. სანაძემ და სხვა ცნობილმა მეცნიერმა), თბილისის უნივერსიტეტში 1948წ. შექმნილ ფიზიკა-ტექნიკურ ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები. ეს ფაკულტეტი აკადემიკოს პ. კაპიცას ინიციატივით შეიქმნა. შემდეგ პ. კაპიცა ჩამოაშორეს ატომურ ბომბზე მუშაობას (ი. კურჩატოვის მეტოქეს, ბერიასთან მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა). ამიტომ, სამწლიანი მუშაობის შემდეგ ეს ფაკულტეტი ყველგან გააუქმეს, მათი სტუდენტები კი სხვადასხვა ინსტიტუტებში გადაანაწილეს (თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები მე-4 კურსიდან ფიზიკის ფაკულტეტის რუსული სექტორის მსმენელებს შეუერთეს).

ა. თავხელიძეს თბილისში სამუშაოდ ჩამოსვლა არ უნდოდა - „იქ, მუშაობის ნაცვლად პანაშვიდებზე სირბილი მოძიწევსო“, მაგრამ ასაკში რომ შევიდა და მოსკოვის ცხოვრების ტემპით დაიღალა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტობაზე დათანხმდა. ეს იოლად ვერ გადაწყდა. მე ვიყავი მოწმე, როგორ ურეკავდა წლობით თბილისში ნ. ამაღლობელს ლაბორატორიის ერთადერთ ტელეფონზე, რომელიც დერეფანში იდგა და ნოდარი (ისე, რომ მე ვერ გამეგო), პასუხობდა: „პირველია წინააღმდეგი, მასთან ენები შეაქვთო“... ე. ი. ე. შევარდნაძეს გულისხმობდა, პარტიის ცკ პირველ მდივანს.

2005წ. ა. თავხელიძე ახალი წლის დღეებში მოსკოვში თავის მოწაფებთან წავიდა, (აკადემიკოს ვ. მატვეევის ბირთვული კვლევების ინსტიტუტში) და იქიდან შეატყობინა საზოგადოებას, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტობიდან ჯანმრთელობის გამო გადადგა...

79 წლის ასაკში ის მოსკოვის უნივერსიტეტის კათედრის გამგე გახდა და ერთ წელიწადში გარდაიცვალა.

როგორც მეცნიერი ა. თავხელიძე, რასაკვირველია იყო ძლიერი, იშვიათი შრომისმოყვარე, კარგი ფიქროლოგი, მახვილი თვალის მქონე. წარმოშობით ბალდადიდანაა (მისი საპატიო მოქალაქეა), თბილისის მე-8 ვაჟთა სკოლა დამთავრა. ის იყო ვაჟკაცური ბუნების (მე თვითონ ვარ მოწმე, როგორ გადაარჩინა დუბნაში ქალი ძაღლის დაკბენას). მას არ უყვარდა დაბადების დღის აღნიშვნა და უცხოეთში მივლინებით ემალებოდა მლიქვნელებს. ა. თავხელიძე ორჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, ის ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატიცაა, აქვს სხვა სახელმწიფო ჯილდოებიც.

რაც შეეხება მის ხასიათს, ნ. ამაღლობელისა არ იყოს, „რა ვქნათ, ასეთი ხასითი აქვს“.

## კურჩატოვის მოადგილე (მ.გ. მეშჩერიაკოვი)

ძოგონებები ერთადერთი სამოთხეა,  
საიდანაც კერ გამოვაძევებენ  
უან პოლ რიბტერი

მიხეილ გრიგოლის ძე მეშჩერიაკოვი (მეტსახელად „ემ-გე“) „ატომურ პროექტში“<sup>11</sup> აკად. ი. კურჩატოვის მოადგილე იყო.

ტაგანროგის რაიონში, კაზაკის ოჯახში დაბადებული, უმა-ღლესი განათლების მისაღებად ლენინგრადში ლამის ფეხით ჩასულა. ოცდათიან წლებში ი. კურჩატოვის ასპირანტი გახდა, იქვე დაოჯახდა. შეეძინა ქალიშვილი ტანია, მაგრამ შემდეგ ოჯახი დაიშალა.



ასპირანტი მ. მეშჩერიაკოვი ი. კურჩატოვთან ერთად

ფინეთთან ომის და ლენინგრადის ბლოკადის დროს ბევრ-ჯერ დაიჭრა, მაგრამ ძლიერი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა.

1946წ., გაეროს მისით, ნახევარი წლით ამერიკაში მიავლინეს. იქ, წენარ ოკეანეში, ატოლ „ბიკინიზე“ მორიგი ატომური ბომბის აფეთქების დამკვირვებლებს შორის იყო, ამიტომ საბჭოური ბომბის პირველი აფეთქებისას<sup>12</sup> მის მოვალეობაში „ატომური სიკოს“ ზომების შედარება შედიოდა.

თუ მისი კოლეგები – გიორგი ფლეროვი<sup>13</sup>, კირილე შჩოლკინი<sup>14</sup> და ა.ზავენიაგინი<sup>15</sup> ბოლომდე უშეალოდ ბომბთან 30 მეტრიან კოშკზე იყვნენ, მ. მეშჩერიაკოვი ათიოდე კილომეტრით დაცილებულ ბუნკერში იყო ი. კურჩატოვთან<sup>16</sup>, ი. ხარიტონთან<sup>17</sup>, ბერიასთან<sup>18</sup> და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. წარმატებული აფეთქების შემდეგ ბერიას იქ მყოფი გადაუკოცნა და თან უთქვამს: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უსიამოვნებას გადაურჩით, რა გელოდათ, ბომბი რომ არ აფეთქებულიყო“.

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა სწორედ ამ ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ მიანიჭეს მ. მეშჩერი-



**გ. ფლეროვი კოტეჯის ეზოში  
ი. კურჩატოვთან ერთად**

აკოვს, გ. ფლეროვს, ბ. ჯელეპოვს და სხვ. 50-იან წლებში ი. კურჩატოვმა „ემ-გე“ დუბნის ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნა. ის სიმკაცრით გამოირჩოდა: ერთხელ რკინიგზის ხიდი ხანძარმა მთლიანად განადგურა (ხისგან ყოფილა). ამის გამო დუბნაში მატარებლის მოძრაობა შეწყდა. მ. მეშჩერიაკოვმა შეუძლებელი შეძლო და ხიდი ერთ დღეში აღადგინა.

მისი სიმკაცრე და უხეშობა ბევრ კოლეგასაც არ მოსწონდა. გადა-

მწყვეტი ყოფილა აკად. ბრუნო პონტეკორვოს<sup>19</sup> გამოსვლა 1956წ., პარტიულ კრებაზე: – „მისი ყველას ეშინა“...



ბ. პონტეკორვო (ცენტრში) თბილისის უნივერსიტეტში, 1981 წ.

მასზე ნაწყენი იყო ნ. ხრუშჩოვიც: 1954წ. მ. მეშჩერიაკოვს შესთავაზეს წყალბადის ბომბის<sup>20</sup> თემატიკაზე მუშაობა, არცი-მოვიჩის მოადგილის თანამდებობაზე, რაზეც მან უარი თქვა. მ. მეშჩერიაკოვი გაათავისუფლეს ხელმძღვანელი თანამდებო-ბიდან და მეცნიერ-თანამშრომლად ჩამოაქვეითეს. მის ადგილზე კი ყოფილი მოადგილე, ბენედიქტ ჯელებოვი დანიშნეს. ამიტომ იყო მათ შორის ცუდი ურთიერთობა.



**მარჯვ. ბ. ჯელეპოვი, მ. მეშჩერიაკოვი (მე-3),  
გ. ფლურიოვი (მე-4)**

ამ წლებში, „ემ-გე“-სთან მუშაობდა ნ. ამაღლობელი. იმდენად დაახლოებულან, რომ ნოდარის თქმით, ამაჩქარებელზე (ცხელ დღეებში) ხშირად ჭრუსებში მუშაობდნენ.

1967წ., მ. მეშჩერიაკოვი ახლადგახსნილი გამოთვლითი ტექნიკის და ავტომატიზაციის ლაბორატორიის დირექტორად დანიშნეს (მაშინ მე უკვე ღუბნაში ვმუშაობდი, ინსტიტუტის დირექტორი კი ნ. ბოგოლიუბოვი<sup>21</sup> იყო). ნიჭიერ ადამიანს არ გასჭირვებდა მისთვის ახალ სფეროში მუშაობა. მას ჯერ კიდევ ამერიკაში ყოფნისას მოსმენილი ჰქონდა „კიბერნეტიკის მამის“, ნორბერტ ვინერის ლექციები.

სხვა დრო იყო. მ. მეშჩერიაკოვი ნაკლებად მკაცრი და უხეში გახდა, მიუხედავად ამისა, როცა ჩემმა ხელმძღვანელმა (ი. კა-

რეავინმა) მთხოვა შევყოლოდი ახალი პროექტით კაბინეტში, შესვლის მომენტში იკითხა: «□□□ □□□ □□?»...

უყვარდა საქართველო, ქართველები. „მეცნიერთა სახლის“ თითქმის ცარიელ კინოდარბაზში, ძველ, საშუალო დონის ქართულ ფილმს ბოლომდე უცქერდა ხოლმე. მონღოლეთის-თვის განკუთვნილი ექსპერიმენტული დანადგარები („გამზომი მაგიდები“ და სხვ.), მ. მეშჩერიაკოვის ბრძოლის შედეგად თბილისის უნივერსიტეტში მოხვდა. დუბნაში ერთ-ერთი ჩას-ვლისას ნ. ამაღლობელმა სასტუმროში დილის 9სთ-ზე დამი-ბარა. დავაკაკუნე და ნახევრადლია კარში ნამძინარევმა ნოდარმა მითხრა: „მეშჩერიაკოვმა გუშინ რესტორანში დამპა-ტიუა, — დიდი ხანია არ დაგვილევიაო, — ამიტომ, გადავდოთ დღევანდელი შეხვედრა...“.

ერთ-ერთ კონფერენციაზე, მე და მ. მეშჩერიაკოვი ერთმა-ნეთის გვერდით მოვხვდით. გავესაუბრე უცხოეთის შთაბეჭდი-ლებებზე (ფინეთიდან ახალი ჩამოსული იყო). გაოცებული იყო უცხოელ მეცნიერთა ხელფასებით.

ახლა, დუბნის სასტუმროს სკვერში, კულტურის სახლის უკან, იმ ძელსკამის ნაცვლად, სადაც მას ფიქრი უყვარდა, მისი ძეგლი დგას.



## პროფესორი ვლ. კეკელიძე

ცხოვრებაში მხოლოდ ორი ტრაგედიაა,  
პირველი – როცა ვერ ახორციელებ  
სანუკვარ ოცნებას და მეორე,  
როცა მიაღწევ მის განხორციელებას  
ოსკარ უაილდი

დუბნიდან დაბრუნების შემდეგ აქტი-  
ურად დავიწყე ჩემი შემცვლელის ძებნა.

ლაბორატორიას სჭირდებოდა ძლიერი სტუდენტი, V კურსელი.  
რადგან რუსული სექტორი ყოველთვის ქართულზე უფრო  
ძლიერი იყო, დეკანის მოადგილეს, გ. ასლანიძს, ვთხოვე  
დაესახელებინა ორი ფრიადოსანი. „ფოკინა და კეკელიძე“ -  
მითხრა გ. ასლანიძმა. ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტდი, ჩემს  
ოთახში დავბრუნდი და ც. იოსელიანს მოვეთათბირე.



დუბნა. მაღალი ენერგიების ლაბორატორია (IV-ი)

– არც ფოკინა გვინდა და არც კეკელიძე. რა შენსავით სულ  
რუს-ქართველა ხალხი მოგყავს, თავისებურად გაჯავრდა ციალა.

სხვა გზა არ იყო, დაუურეკე შინ ვ. კეკელიძეს და შევთა-  
ვაზე ლაბორატორიაში შეხვედრა დუბნაში გამგზავრებისთვის.

- "Я такие шутки не принимамо" - Микаэль ქადაგიძე და დამიკიდა  
ყურმილი. მომიწია ფაკულტეტის მდივნისთვის, ელენა პავ-  
ლოვნასთვის, ყველაფერი ამხესნა. მან დაურეკა და დეკა-  
ნატში სასწრაფოდ მოსვლა მოსთხოვა.

მოკლე საუბრის შემდეგ (მას რადიოფიზიკის სპეციალობის  
დიპლომი ჰქონდა), ვ. კეკელიძეს მივეცი ექსპერიმენტის ავტო-  
მატიზაციის დარგში რამდენიმე დანადგარის აღწერა (ჩვენი  
სპეციფიკის გასაცნობად). ერთი კვირის შემდეგ საქაღალდე  
დამიბრუნა და აღელვებულმა, ამ მიმართულებით მუშაობაზე  
უარი მითხრა. იქვე მთხოვა, იქნებ ფიზიკის მიმართულებით  
დაერთო ნება ნ. ამაღლობელს.

ყველაფერი ნ. ამაღლობელს მოვახსენე. თუ არ ვცდები,  
იქვე იყო რ. სალუქეაძე და გადავწყვიტეთ, გამოსაცდელად ჩაე-  
ტარებინა სემინარი ფიზიკის ერთ-ერთ საკითხზე.

ერთი კვირის შემდეგ ხუთიოდე კაცმა მოვისმინეთ ეს  
სემინარი და ვ. კეკელიძე ისე წავიდა დუბნაში, ერთი დღეც  
არ უმუშავია თბილისში მომუშავე ექსპერიმენტატორის მძიმე  
პირობებში.

რამდენიმე წელიწადში მან მიიღო საქართველოს  
სახელმწიფო პრემია (თანაავტორებთან ერთად), იქვე  
დაოჯახდა, დაიცვა საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო  
დისერტაცია.

ახლა დუბნაში პროფ. ვლადიმერ კეკელიძე მაღალი ენე-  
რგიების ფიზიკის ლაბორატორიის (ე.ი. ინსტიტუტის) დირე-  
ქტორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწეა.

ნ. ამაღლობელის დაკრძალვაზე უნივერსიტეტში სამგლოვი-  
არო მიტინგზე ვ. კეკელიძე სიტყვით გამოვიდა, როგორც დუბნის  
საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორის წარმომადგენელი.

## ბოლოსიტყვაობა

კველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში,  
მამასადამე, თვითუული ჩვენთავანი, თუნდაც  
ძალიუფლები წვლილით, კალდებულია ხელი  
შეუწყოს მის სილამაზეს და ხელი შეუშლოს  
მის მეტ უმსგავსებას

ქ. ლამეტრი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მას შემდეგ, რაც  
6. ამაღლობელმა (1963წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტში ფიზიკის ახალ, თანამედროვე მიმართულებას ჩაუყა-  
რა საფუძველი. 2015 წელი კი ინსტიტუტისათვის საიუბი-  
ლეოა – მისი დაარსებიდან (1980წ.) 35 წელი გავიდა.

დღეს ეს მიმართულება მისი მოწაფეების მიერ წარმა-  
ტებით ვითარდება და სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლო-  
ბის დონეზეა გასული.

ეჭვსგარეშეა, ეს საერთაშორისო აღიარება დიდი კოლე-  
ქტივის მრავალწლიანი, დაბაბული შრომის შედეგია. მის  
უკან დგას ისტორია, ტრადიციები, ვიღაცის მხარდაჭერა, კვ-  
ლევითი ინსტიტუტის ფართო და მდიდარი შესაძლებლობები.

ნახევარი საუკუნე საქმარისი დროა, რომ გავლილ ეპოქას  
რეტროსკოპიული მზერით გადავხედოთ. ჩვენთვის განსაკუთრე-  
ბით ძნელი იყო პირველი 10-15 წელი, როცა ყველაფერი  
ენთუზიაზმით, პირველად კეთდებოდა, მატერიალური რესურსე-  
ბის, დაფინანსების, კადრების და გამოცდილების გარეშე.

„ჩვენ, უფროსობამ, კიდევაც რომ დავივიწყოთ თქვენი  
თავდადება და ღვაწლი, თქვენივე ამხანაგები არ დაუშვებენ  
ამას“ – გვარწმუნებდა ნოდარი ერთ-ერთ კრებაზე „უძრაობის  
პერიოდის“ უმძიმეს, 1978წ., როდესაც ინსტიტუტის გახსნის,  
„შტატების“, კვლევების დაფინანსების უკვე აღარავის სჯე-

როდა. ამ ფრაზაში კარგად ჩანს მადლიერების კულტურის განსაკუთრებული ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. მართლაც, ენ-თუზიასტების თავდადებული შრომა ისტორიის საკუთრება გახდა. ისტორია კი უბრალოდ, მეცნიერების განხრა როდია – ის ჩვენს სინდისს აღვიძებს.

იმედი მაქვს, მკითხველი არ დამძრახავს, თუ მოგონებების დასრულებისას რამდენიმე აბზაცს დავუთმობთ ჩვენი სამეცნიერო კოლექტივის წევრებს, განსაკუთრებით კი – ტექნიკურ, მომსახურე პერსონალს, რომლის უანგარო პროფესიონალზეს დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტორისთვის. მაინც, რა იშვიათად ვიხსენებთ ამ ადამიანებს...

ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, ორმოციან წლებში დაბადებული თაობა, რომელმაც პატიოსნად, კარგად ზიდა ჯვარი მნელ გზაზე. სიძნელეებთან ჭიდილში, ფიზიკური და მორალური ძალების უკიდურესი დაძაბვის შედეგად, ზოგს ჯანმრთელობის, ზოგს – ოჯახური პრობლემები შეექმნა, ბევრი კი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. წიგნის ფორმატის გამო ზოგიერთი მათგანი ტექსტში (ან ილუსტაციებში) ვერ მოხვდა<sup>22</sup>:

ბ. ალადაშვილი, თ. ბართაია, ი. ბალათურია, ა. გავაშელი,  
ს. გოგილიძე, გ. დევიძე, გ. ერისთავი, შ. ესაკია, თ. თოფურია,  
ი. თულიანი, თ. კვაჭაძე, გ. კურატაშვილი, ა. ლიპარტელიანი,  
ნ. ლომიძე, ბ. მარგველაშვილი, ი. მაჩაბელი, გ. მაჭარაშვილი,  
ი. მინაშვილი, დ. მირიანაშვილი, ზ. მერგბაშვილი, ა. მესტვირი-  
შვილი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. მეტრეველი, ა. მჭედლიშვილი,  
დ. მუკია, ქ. ნატროშვილი, თ. როგავა, ტ. სახელაშვილი,  
მ. ტაბიძე, გ. ტატიშვილი, ა. ტომარაძე, კ. ტურაშვილი, ვ.  
ქართველიშვილი, რ. შანიძე, ლ. ხარხელაური, დ. ხელაშვილი,  
მ. ჩაჩეუნაშვილი, ე. ჩიქოვანი, გ. ჯაფარიძე, გ. ჯიბუტი,  
დ. ჯინჭარაძე, ვ. ჯორჯაძე;

ინჟინერ-ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი:  
ქ. ავალიანი, ი. ანდლულაძე, ჯ. ასათიანი, ც. აროშვილი,  
დ. ახვლედიანი, ლ. აფაქიძე, ე. ბარათაშვილი, მ. ბასილია,  
ჯ. ბუჟგულაშვილი, ზ. გობრონიძე, ლ. გოგიტიძე, ლ. გოგუ-  
აძე, ლ. გვერეტაძე, ი. გურგენიშვილი, ვ. დავითაშვილი,  
ვ. დვალი, ნ. დუდინოვა, ნ. ენდელაძე, ლ. ეიჩისი,  
გ. ვამაკიძე, გ. ვარაზი, ზ. იაშვილი, კ. ლუხავა, ე. მანაგაძე,  
ლ. მირიანაშვილი, ქ. მიქაძე, ნ. მელაშვილი, გ. მელითაური,  
ი. ნოვიკოვი, ნ. ნოზაძე, ა. პავლოვსკაია, მ. რაზმაძე, ც. სარიშვილი,  
ა. სიღელნიკოვი, ზ. სვეტლიჩნაძა, ე. სხილაძე, ბ. ტოკვი,  
ი. ტრეკოვი, გ. ტყეშელაშვილი, ნ. ქადაგიძე, გ. ქავთარაძე,  
რ. ხომერიკი, ს. ცირეკიძე, ჯ. ჩუბინაშვილი, ც. ჩხეიძე, ლ. შუბ-  
ლაძე, დ. ჭავჭანიძე, ბ. ჭანკოტაძე, ს. ჯოჯუა, ლ. ჯულაყიძე;

თქვენს წინაშეა ჩვენი თაობის ცხოვრება, სავსე ძიებით,  
გულისტკენით, შეცდომებით და მიგნებებით – ნამდვილი  
ცხოვრება. ახალ თაობასთან შედარებით, ჩვენ უფრო მიამიტნი  
ვიყავით. ამასთან, ყოველი თაობა ჯიუტად ცდილობს მისცეს  
შთამომავლობას რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია თავის თავზე,  
იმის რწმენით, რომ ამ გზით დიდი ხნით (თუ მუდმივად არა)  
გააგრძელებს თავის ყოფნას ქვეყანაზე...

დაბოლოს, ბოლიშს ვუხდი იმ ოჯახებს, რომელთა ღირსე-  
ბასაც, შესაძლოა უნებურად, ჩრდილი მიადგა ჩემი „ბიოგრა-  
ფიული ნარკვევების“ გამოქვეყნებით.

<sup>1</sup> ლუკ ლანდაუ – თანამედროვეობის გამოჩენილი ფიზიკოსი (დაბ. 1908წ.), ნობელის პრემიის ლაურეატი, სსრკ მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი, სოც.შრომის ვძირი. დაიბადა ბაქოში. მამა შეძლებული ინიუნიერი იყო, დედა—პროფესიონალი. ბაქოს კონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა ღერინგრადის უნივერსიტეტში გააგრძელა. 1927 წელს მიავლინეს უცხოეთში, მათ შორის, ნ. ბორთან. 1937 წელს უნდა დაწყებულიყო ”ფიზიკოსთა საქმე”, ამიტომ დააპატიმრეს, მაგრამ აკად. პ.კაპიცას ძალისხმეული, მაღვე გაანთავისუფლეს. ატომური ბომბის გათვალისწინების მისი წვლილიცაა, მაგრამ არ სურდა ტექნიკის განხრით მუშაობა. ამიტომ დაავალა შეამავრობა და საავტორო უფლებები გადასცა ახალგაზრდა ბ.ზელდოვიჩს, რომელიც შეძღვომ სამგზის სოც. შრომის გმირი გახდა.

1962 წლის იანვარში მის საყვარელ მოწაფეს – სემიონ (სიომა) გერნშტეინს (ამჟამად ცნობილ აკადემიკოსს), დუბნაში ცოლი გაცილდა და სიომა მიიმე დეპრესიაში ჩავარდა. ლანდაუ ვაეჭმზარა მის სანახვად, მით უმეტეს, დუბნის ფიზიკოსებიც დაუინიჭით სოხოვდნენ სემიონარზე ჩასკლას. ვაემვზავრა ერთ-ერთი მოწაფის ავტომანქანით (სადაც მოყვა ავტოკატასტროფიზი). ავტომანის შედევად დაინვალიდდა. ამავე წელს მისცეს ნობელის პრემია. ხანგრძლივი ავაღმყოფობის შემდეგ ვარდაიცვალა 1979 წელს.

მეუღლე კორა დრობანცვა, ქიმიკოსი, ულამაზესი, ძლიერი ხასიათის ქადა იყო. მათ დარჩათ ერთი შვილი – ივორი. კორამ დარჩენილი სიცოცხლე მოვონებების წერას მოანდომა და 16 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

<sup>2</sup> მსტისლავ როსტოკოვიჩი (დაბ. 1927წ., ბაქ) – თანამედროვეობის გამოჩენილი ვითლონისტელისტი, დირიქტორი და საზოგადო მოღაწე. დაიბადა მუსიკოსების შეძლებულ ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ გაუჭირდა ცხოვრება, ისწავლა საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი. 1951წ. მიიღო სახელმწიფო, 1964წ. – ლენინური პრემია. ბრუჯნევის მმართველობის წლებში (მწერალ სოლუსიურის მხარდაჭერის გამო)

---

შეუზღუდეს საკონცერტო მოღვაწეობა. გენიალური მუსიკოსი იტანჯე-ბოდა პროფესიული ჩატარებული კონცერტებით. დაიწყო ლოთობა...

1974წ. იძულებული გახდა დაუტოვებინა ქვეყანა. 4 წლის შემდეგ კი მუსიკულესთან ერთად ჩამოართვეს სსრკ მოქალაქეობა. აშშ-ში როსტროპო-ვიჩმა დადი აღიარება მოიპოვა. გახდა ძევრი ქალაქის საბატოო მოქალაქე, მსოფლიოს 11 ქალაქში დაიღიო ბინა. გორბაჩევის ინიციატივით დაბრუნდა მოსკოვში. გარდაიცვალა 2007წ.

მუსიკულე გაღიანა ვიშნუეცაა (პირველი ქმრის გვარია) ცნობილი საო-პერო მოძღვრალი, სსრკ სახალხო არტისტი, ძლიერი ნებისყოფის, ულამაზესი ქალი იყო. დაწერა საინტერესო მოვონებები. ის 85 წლის ასაკშიც (ვარდაცვალებამდე) მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ საოპერო სახელმძღვანელში. დარჩა ორი ქალიშვილი.

<sup>3</sup> ვოლგის მეორე ნაპირზე 1942 წლამდე ატაკოლუევის და ა. მიქიანის მიერ შექნილი №30 აკადემიური მუშაობდა, სადაც პადიოთვითმცი-ნავებს ცდიდნენ, ომის შემდეგ კი ტყვე გერმანელი ავიაინჟინერები მუშაობდნენ. „მოსკოვის ზღვის“ ადგილზე იყო ქალაქი კორჩევი და ასამდე სოფელი. ეს ტერიტორია ბერიას საყვარელი სანადირო ადგილი ყოფილა, ამიტომ ციკლოტრონი ააშენა აქ.

<sup>4</sup> პატიმრების გარდა დუბნას აშენებდნენ... ბალტისპარეთის მემკვები, რომლებიც ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობდნენ.

<sup>5</sup> მსტისლავ კელდიში (დაბ. 1911წ., რიგა) - გამოჩენილი მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (35 წლის ასაკში), სამზადის სოც. შრომის კითხი. ამ წოდებით დაჯილდოებული იყო მხოლოდ 11 მუნიცირი: ტუმოლუევი, სახარივი, კურჩატოვი, იღიუშინი, აღუშსანდროვი, შერლეკინი, სლავსკი, ვანიკოვი, ზელიციები, ხარიტონი და დუხოვი. 1973წ. ოპერაცი-ის შემდეგ დაკარგა შრომის უნარი და 64 წლის ასაკში მოიხოვა (არ უშვებდნენ), მეცნ. აკად. პრეზიდენტობის თანამდებობიდან გათავისუფლება.

<sup>6</sup> ნიკოლოზ გოვორუნი (დაბ. 1930წ.) - მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბავშვობა სამამულო ომის დროს ოკუ-პირებულ ლუგანსკში (უკრაინა) გაატარა. დაიჭრა ფეხში, მკურნალობდა საქართველოში. დიდხანს მუშაობდა დუბნაში გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილუდნდ, სადაც მისი ხელმძღვანელო-ბით შეიქმნა ეგზ. „ბებ-ბ“-ის პროგრამული უზრუნველყოფა.

<sup>7</sup> პირველი საბჭოთა მინი-უგმ და საურთოდ, მიკროელექტრონიკის მიმართულების შექმნაში, დიდია ფილიპ სტაროსის (1917-1979წწ.) ღვაწლი. ეროვნებით ბერძენი, ის მუშაობდა აშშ-ში ატომურ პროექტზე (მისი ნამდვილი ვარია აღმოჩედ სარანტა). როგორც ბერიას აგენტი, ის 1950 წლიდან გამოიუყვა ქ. პრადიში, ხოლო 1956 წელს მისწილებ სამუშაოდ ქ. ლენინგრადში. მაღვე მარშალ დ. უსტინოვის მხარდაჭერით ის ვახდა ზელინოვრადის (მოსკოვის ოლქი) მიკროელექტრონიკის კომპლექსის ინიციატორი. ჩინოვნიკოვა ინტრიგების გამო სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა ქ. კლადიოვანტოკოვი.

<sup>8</sup> ოღია ვეპუა (დაბ. 1907წ., სოფ. შეშელეთი) – სსრკ მუცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხოც. შრომის გმირი. 1951 წლებშე თბილისში მუშაობდა. 1950წ. მიღებულ სტალინურ პრემიას მაღვე მოჰყვა საქ. კაც პარტიული სახელი (აკად. ნ. მუსხელიშვილთან ერთად) „კადრების დაწინაურებაში შეცდომებისთვის“. ი. ვეპუამ მუშაობა დაწყო მოსკოვის ოლქში (ЦАГИ), შეძლებ ვახდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი. თბილისში 1965წ. დაბრუნდა. იყო თუუ რექტორი, თუუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნ. ხელმძღვანელი, მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი. სიცოცხლის ბოლო წლებში თერაციის გამო საუბარი უშენდა. ამ წლებში დაწერილმა მისმა მონოგრაფიამ სსრკ სახელმწიფო პრემია მიიღო. გარდაიცვალა 1977წ.

<sup>9</sup> გამოჩენილ მათემატიკოსს, მოსკოვის მათემატიკური სკოლის ფუძემდებელს, ჩინებულ პედაგოგს, აკად. ნ.ნ. ლუზინს მისი მოწაფეების, აკადემიკოსების: ა. კოლმოგოროვის, ლ. ბონტრიაგინის, პ. ვინოგრადოვის და სხვათა ინიციატივით 1936წ. „საქმე“ შეუქმნეს. ნ. ლუზინი ი. სტალინის ჩარევის შეძლებ ცოცხალი გადარჩა, მაგრამ დარჩენილი 14 წელი უმუშევარი, ყველასგან გარიყელი იყო.

<sup>10</sup> სისტემის მთავარი კონსტრუქტორი, დუბნელი ვ. კოტოვი, რომელიც მ. მეშერიაკოვის მხარდაჭერით ცდილობდა ნაშრომი პირდაპირ სახოვჭორო დისერტაციაზე წარედგინა, თბილისში ყოფნისას მიმტკიცებდა, რომ მთავარია მივლინებები, პრემიები, შრომები და არა ხელსაწყოს მუშაობა.

<sup>11</sup> ატომური ბომბის მოქმედების პრინციპი პირველად აკად. ნ. სემიონოვმა ჩამოაყალიბა 1940წ. წერილში, რომელიც მან გააგზავნა... ნავთობის სახალხო კომისარიაზში, საღაც წერილი დაკარგვეს.

<sup>12</sup> ატომური ბომბის პირველი გამოცდა ჩატარდა 1949წ. 29 აგვისტოს, ორშაბათს, დილის 7სთ-ზე, ყაზახეთში ქ. სემიპალატინსკიდან 100კმ-ზე, უდაბნოში განლაგებულ პოლიგონზე. ატომ „ბიკინიზე“ კი – 1946წ. მოდა ბიკინის ტარებაზე სწორებ ამ უქსერიომენტის სოციალური შედეგია.

<sup>13</sup> ვიორგი ფლეროვი (დაბ. 1913წ., როსტოკი დონზე) – აკად. (1968წ.), სოც. მრომის გმირი, ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

<sup>14</sup> შჩოლუკინი კ.ი. (დაბ. 1911წ., თბ.) – მუც. აკადემიის წევრ-კორუსონდენდენტი, სამგზის სოც. მრომის გმირი, ციმბირში ქვეყნის რაკეტულ-ბართვული თავდაცვითი ფარის შემქმნელი (მისი ძეგლი ვაკე-საბურთალოს შემაურთვებელ გზაზე, ფიზიკის ინსტიტუტთან 2010წ. დაშალეს). ძალზე პრინციპული იყო; გამაღლებული შეიარაღების წინააღმდეგ გამოვიდა ხრუშჩინის და მიქოანის წინააღმდეგ. მინისტრი ე. სლავსკი ამოშალა ლუნინური პრემიების სიიდან. ამიტომ, არ აირჩიეს აკადემიკოსად, ჩამოაცილეს საქმეს. დაუნიშნეს მცირე პენსია, არ აღუნიშნავთ არც ერთი მისი იუბილე. ბოლო წლებში მოსკოვში კითხულობდა ლუქციიბს. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში.

<sup>15</sup> ზავენიავინი ა.პ. (დაბ. 1901წ., ტულის გუბერნია) – იყო მძიმე მრეწველობის მინისტრის (ს. ორჯონიშვილის) ძრავილე. მისი თვითმკვლეულობის შემდეგ ნორილსკის კომბინატის დირექტორობა დაავალეს. შემდეგ ვახდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადვილე. ივი გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით და ჰუმნური თვისებებით.

<sup>16</sup> ოკურჩატოვაძე ატომური პროექტის ხელმძღვანელობა ნიღს ბორს შესთავაზეს. 1949 წლიდან ო. კურჩატოვი (ბერიასთან ერთად) სსრკ საპატიო მოქალაქე იყო.

<sup>17</sup> ხარისხი ი.ბ. (დაბ. 1904წ., პეტებურვი) აკადემიკოსი, სამგზის სოც. მრომის გმირი. ახალგაზრდობაში მუშაობდა რეზერვორდთან (კაპიცასთან ერთად). 50 წლით იყო არზამას – 16-ის (ამჟამად ქ. საროვი) ატომური ცენტრის მუცნიერ-ხელმძღვანელი. მას მამა დაპატიმრებული ჰყავდა. დედა უცხოეთში გაიქცა. „ატომურ პროექტზე“ მუშაობისას, უსაფრთხოების მაზით, გამოუყვეს ძევის საღონ-ვაგონი. გამოირჩეოდა თავაზიანი მანერებით და იშვიათი პატიოსნებით, სიგამხდრით. 1982წ. ხელმძღვა-

---

ნელობდა ზემაღალ სიხშირეზე მოქმედი კოსმოსური თარაღის შექმნას. გარდაიცვალა 93 წლის ასაკში.

<sup>18</sup> საბჭოური წყალბადის ბომბიც ლ.პ. ბერიას კურატორობით შეიქმნა, ამტომ ის კერ დახვრიტეს მის პირველ გამოცდაშე (1953წ. 12 აგვისტო).

<sup>19</sup> პონტეკორვო ბ.მ. (დაბ. 1913წ., პაზა, იტალია) – აკადემიკოსი. მუშაობდა ენრიკო ფერმისთან იტალიაში. 1938 წელს დაქორწინდა შვედ მარინა ნორდბლომზე. 37 წლის ასაკში, აშშ-ში გერმანული ფუქსის (რომელმაც 1945წ. გადმოსცა ატომური ბომბის ნახაზები საბჭოთა კავშირს) დაპატიმრების შემდეგ გადმოსახლდა დუბნაში. უყვარდა საქართველო. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

<sup>20</sup> წყალბადის ბომბის პირველი გამოცდა 1953წ ჩატარდა. ამავე წელს გახდნენ აკადემიკოსები: ა. სახაროვი, ბ. ბოგოლიუბოვი, ი. ხარისხონი, ა. ალექსანდროვი და სხვ.

<sup>21</sup> ბოგოლიუბოვი ნ.ნ. (დაბ. 1909წ., ნიუნი ნოვგოროდი) – აკადემიკოსი, ორგზის სოც. მრომის გმირი. არზამას-16-ში მუშაობდა „ატომური პროექტის“ თეორიულ გათვალისწინებულ დუბნის სერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი 1965-1988 წლებში. დარჩა ორი შვილი.

<sup>22</sup> საუკეთესო, 1986-1988 წლებში ინსტიტუტის თანამშრომელთა რიცხვი 300 კაცს აღწევდა. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ჩემი კოლეგები და უშუალო ხელქვეთები, რომელთაც, როგორც ექსპერიმენტატორი, კარგად ვიცნობდი.

